“დადგით მესხეთში აკვნები, აღზარდეთ კვლავ რუსთაველი“ გიორგი ლეონიძე

ლიტერატურული მესხეთი

№8 (260)
აგვისტო
2020 წელი
ფასი 40 თეთრი

გამოცემის ოცდამეორე წელი "LITERATURULI MESKHETI"

ყოხეალითავის შეთქმულების 775 წლისთავისათვის!



ნახ. ს. მაისაშვილისა

ცოტნე დადიანი

მეგრულ სიმღერებიდან თუ მეგრული მოთქმიდან
ისმის ცხენის თქარუნი და ჭიხვინიც მოდიდდა.

იქნებ ელვა ავარდა ძველლაზური აფრიდან
ანდა წმინდა გიორგი მარტვილიდან აფრინდა?

მთვარის ყაბალახიანი,
ღამის ნაბდიანი
მიდის, მიიჩქარის ცოტნე დადიანი.

რახანია ეკლესიებს შესევია ჭილყვავი,
და ციხეებს აზიური სიმღერები ჭირხლავენ,
ცას უყეფენ კოცონები და კარვები მონგოლთა...
ვერ იქნება კოხტაგორა საქართველოს გოლგოთა!
– მაშ გაფრინდი, ბედაურო, გრძელფაფარა,
კანჭწვრილო,
ოჩოკოჩის გახედნილო და ჭინკების გაწვრთნილო,
არც ქერი გაქვს, არც არაყი, არც მოთმენა,
არც ძილი,–
ახრამუნე ჰორიზონტი...გადახუხე მანძილი...

ჩქარობს,
ჩქარობს,
ჩქარობს
ავსებული ურვით,
ცოტნე დადიანის რაინდული გული...
***

ისევ ისმის თქარუნი
და ჭიხვინი რაშის,
ვხედავ სამეგრელოდან ამხედრებულ აჩრდილს.
მოჭენაობს,
მოგელავს
თოხარიკით...
ჩორთით...
ფაფარივით აწეწილა საუკუნის შფოთი...
ამ ყიჟინით, ამ სულით, ამ მარადი ლტოლვით
ისევ ფხიზლობს უძველესი მეომარი ტომი.
ისევ ფეთქავს, ისევ სცემს, ლეგენდებად თქმული
პატარა საქართველოს რაინდული გული...

შოთა ნიშნიანიძე

„ამათ ჭირთა შინა მყოფნი შეკრბნენ წარჩინებულნი ამის სამეფოსანი კოხტის-თავს და იურვობდნენ უმეფობასა და ჭირთა ესრეთთათჳს; გარნა დაასკუნეს განდგომა თათართა და წარვიდნენ ამა პირსა ზედა იმერნი კაზმად, ხოლო ამერნი უცდიდნენ მუნვე. ესე სცნეს თათართა ბიჩუს და ანგუგ, მოუჴდნენ კოხტის-თავს მდგომთა, შეიპყრნეს ყოველნი წარჩინებულნი და წარიყვანეს ანისს შირაკუანს და მიიყვანეს ქარმაღანის წინაშე; ხოლო მან მჴარდაკრულთა განშიშულებულთა წარსცხო თაფლი და განსხა მზის სიცხესა შინა.
ხოლო ცოტნე დადიანი რა მოვიდა კოხტას პაემანსა ზედა, არღარავინ იხილა და სცნა ყოველი ყოფილი. მაშინ წარვიდა თჳთცა ანისს, მისრულმან იხილნა ქართველნი ეგრეთ მყოფნი, მანცა განიძარცვა შესამოსელი თჳისი, შეისუა თაფლი შიშუელმან და დაჯდა მათთანა. ხოლო დარაჯათა თათართა აცნობეს ესე ნოინთა; ამისნი მსმენნი იგინი განკჳრდნენ და მოუწოდეს ცოტნეს და ჰკითხვიდნენ ყოფილსა. გარნა იგი ეტყოდა: „არა თქუენისა განდგომისათჳს ვჰყავით, არამედ რათა განვაგოთ საქმე თქუენი და ხარკნი“. და ვინაჲდგან სხუათაცა იგივე ეთქუათ, განუტევეს პატივით და აქეს სიკეთე მათი და უმეტეს სანდოდ აღუჩნდათ“.

„ქართლის ცხოვრება“ ტ. 4, გვ 209-210

ტრადიციულად, მიმდინარე წლის 12 აგვისტოს, სოფელ დამალაში, კოხტასთავის ციხეზე, იქ სადაც 1245 წელს მონღოლ-თათართა წინააღმდეგ შეთქმულება მოეწყო, ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის (მერი როსტომ მაგრაქველიძე) ინიციატივით გაიმართა ტრადიციული დღესასწაული „ცოტნეობა“, რომელსაც დაესწრო როგორც დაბა ასპინძის, ასევე სოფელ დამალის მოსახლეობის ერთი ნაწილი.

კახაბერ ჯაყელი

ბოცო ჯაყელი და უფლისწულ დემნას აჩრდილი
(ჯაყელთა 1000 წელი)

გაგრძელება. დასაწყ. NN6-7

***

ამ ამბის შემდეგ, ბევრი რამ მოხდა, ბოცო ჯაყელი მაინც არ ჩარიცხეს დემნას ამალაში. ის კი მაინც ხშირად ეკითხებოდა მამას „უფლისწულის“ შესახებ, თუმცა პასუხს მაინც ვერ იღებდა.

– ესენი ხომ არ გაგიჟდნენ, მე სულ ვვარჯიშობ მის დასამარცხებლად და თქვენ ნეტა რას სჩადიხართ! – ხშირად იმეორებდა ბოცო და, ერთხელაც, მშობლების საუბარს მოჰკრა ყური:

– სამეფო კარს რაღაც ხდება, მარიამ, მინდოდა ბოცო ტახტის მემკვდრის ამალაში ჩამერიცხა, მაგრამ, ვხედავ, – დემნა მუდამ აფორიაქებულია, ალბათ, რაღაცაზე დარდობს.

– შენ, თვითონ, რა გაიგე? – ცნობისმოყვარეობით იკითხა სამძივართა ფერდაკარგულმა ასულმა.

– აბულასანმა მითხრა, – ტახტის მემკვიდრის ამალა გაუქმდაო. სხვა ვერაფერი გავიგე. მაგრამ სადმე ხომ მაინც უნდა ჩავრიცხოთ ბოცო. მარტო იმის ჭიდაობით შორს ვერ გავალთ.

– რას გაუგებ ბაგრატიონებს, ჩემო ერისთავო, – თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა მარიამ სამძივარმა და ამ სიტყვაზე მემნას სევდა გადაეკრა სახეზე.

– რას ფიქრობ, ჩემო დედოფალო?

– ჩუმად! – ანიშნა მარიამმა

***

მომავალ წელსაც ვერ შეიქმნა დემნა უფლისწულის ამალა. როცა ბოცომ დედას ისევ ჰკითხა, სამძივართა წმინდა გვარის ასულმა, შვილს, ვითომ საიდუმლოდ, გაანდო:

– უკურნებელი სენით დასნეულებულა დემეტრე უფლისწული, დედიკო, არავინ იცის, ეს სენი საიდან შეეყარა, წევს და სახლიდან ვერ გამოდის. ამალა არ სჭირდება უფლისწულს. ამიტომაც, მამიკომ და მე, გადავწყვიტეთ, რომ სხვა ახალ ამალაში ჩაგწეროთ.

– დედიკო, ვის ამალაში უნდა ჩამწეროთ? – დაინტერესდა პატარა მოჭიდავე.

– მამაშენმა თქვა, თამარის ამალას ქმნიან და იმ ამალაში აუცილებლად იქნებაო შენი ადგილი, შვილო.

– არ მინდა ქალის ამალაში ყოფნა, არ მინდა, არა! – აყვირდა ბოცო.

– რაო? – თქვა დედამ და უმალ სასახლეში შებრუნდა.

ერთხელ, გამოუთქმელი მწუხარების გამო, პატარა ბოცო, სასახლიდან გამოვიდა და კალოუბნის გზას ჩაუყვა, სწრაფად ჩაირბინა ტფილისის უბნები, ხან ამქრებს, ხანაც გზირებს, შემდეგ კი მანდატურებს მიადგა. ერთი მანდატური მისით განსაკუთრებით დაინტერესდა. კეთილ ძიას ჰგავდა, თეთრი ულვაშები ყურებამდე ჰქონდა გადაშლილი, წელზე მანდატურის ჯოხი ეკიდა და ქალაქში ცხენოსანთა და ფეხოსანთა მოძრაობას აწესრიგებდა.

– ვინ ხარ? – ჰკითხა ბოცომ მანდატურს.

– შენ თვითონ ვინ ხარ, ვეჟო? – გაეჯგიმა მანდატური, თეთრ ულვაშებზე ხელი გადაისვა და ბოცოს კარგად დააკვირდა.

– სამცხელი მოჭიდავე ვარ, ბოცო მქვია, – რიხიანად გასცა პასუხი ბოცომ.

– ტფილისში რა გინდა, ვეჟო? – ყურებამდე გაეღიმა მანდატურს.

– მამაჩემი აქ დგას, სამცხელთა სასახლეში და იმას ვახლავარ, ტფილისელ ყოჩებს მინდა დავეჭიდო.

– შენ, ბიჭო, გატყობ, აღარც კი ხუმრობ! – გაუკვირდა მანდატურს.

– რა გქვია, მანდატურო?

– ქარციხა მქვიან, შვილო, ხარფუხელი ვარ, – გაუკვირდა მანდატურს ბიჭის ამპარტავნობა.

– თუ იცნობ, აქ, მოჭიდავეებს, ვინმეს?

– როგორ არა, შვილო. მამაჩემი თფლისის პირველი ყოჩი იყო, ეხლა კი ჩემი უმცროსი ძმაა. გინდა თომას მოჭიდავეთა ჰამქარი გაგაცნო?

– თომა ხარფუხელი შენი ძმაა, ქარციხა? – უმალ აენთო ბოცო.

– ჰაირ, ჰაირ, ძმაა მაშ, და ძმის გული.



– ულვაშები აიპრიხა მანდატურმა, დოინჯი შემოიყარა და ბიჭს ზემოდან დახედა. ალბათ, მიხვდა, ეს ბიჭი ერისთავის შვილი რომ იქნებოდა, მაგრამ, არ შეიმჩნია და აათვალ-ჩაათვალიერა.

– რას მიყურებ, იქნებ არ გჯერა, ჩემი, წამიყვანე შენს ძმასთან, გთხოვ! – მუდარით შეხედა ბოცომ.

– მაიცა, მაიცა, მე რომ ეხლა თომასთან წაგიყვანო, ბაზრის შესასვლელი და ეს მილეთის ხალხი ვინღა მოაწესრიგოს. მერე ქალაქის ამირა რომ ჩამაივლის და ვერ მნახავს, რაღა ვუთხრა?

– ქალაქის ამირას მე დაველაპარაკები, ვიცნობ, ოჯახშიც მოსულა ჩვენთან, – ბოცომ მუშტები მომუჭა და ქარციხას მუდარით შეხედა.

– ვაა, ვاااჰ, ვاااჰჰჰ, შენ ის არ ხარ, ვისადაც გინდა თავი მომაჩვენო. რა ქალაქის ამირა, რისი მამაშენი. მე ქარციხ ხარფუხ ოღლი, ეხლა მამაშენი ვიყო, არა? ჰაი, ჰაი, ბიჩო, რომ ეგრე არაა.

– აბა, რა ვქნა. მინდა შენი ძმა გავიცნო! – გაუმეორა ბოცომ.

– გაგაცნობ! მზე რომ შუბისტარიდან იმ ლურსმნისკენ გადაიხრება, მაშინ მოდი და წაგიყვან თომასთან, მაგრამ იქ ბიჭები შენზე მაგრები ჩანან და არ დაგჩაგრონ! – გადაიხარხარა ქარციხ ხარფუღ ოღლიმ.

– მოვალ, მოვალ და ვნახოთ! – გაუხარდა ბოცოს, მერე სიონის ტაძრის წინ დადგმულ მზის საათს კარგად დააკვირდა და დრო დაიმახსოვრა.

ბოცო მოტრიალდა და წამოვიდა. ტფილისი უზარმაზარ ქალაქად მოეჩვენა. მარტო ვირები და ჯორები ასამდე დათვალა არაბთა ბაზრის წინ. შემდეგ სიონისაკენ გამოემართა და ფაკირებსა და გველთა მომთვინიერებლებს დაუწყო თვალიერება. მის წინ სამმა არაბმა ხალხს გამოუცხადა, – ახალ სანახაობას შემოგთავაზებთო და არაბული ენის უცოდინარ ბოცოსაც მიადგნენ.

– რა გინდათ? – გაუკვირდა სამცხელს?

– მინლათუნი მოგვეცი, რახან აქ დგეხარ, – წმინდა ქართულით ჩაილაპარაკა შავწვერიანმა არაბმა და ძალიან გაიხარა, როცა ბოცომ ჯიბიდან ვერცხლის ფული დააძრო.

– მეტი აღარ მაქვს.

– მეტი არც გვინდა, უფლისწულო, – გაიცინა არაბმა და ვერცხლის ფული ხელიდან გამოგლიჯა.

– „უფლისწულოო“! – იქნებ, იცნობ უფლისწულს? – დაუყვირა ბოცომ, მაგრამ არაბი უკვე მაშხალას ახურებდა და მეორე არაბს გავარვარებული ხმლის გადაყლაპვას აძალებდა.

საოცარი ქალაქია ტფილისი, ნეტა აქამდე გარეთ რატომ არ გამოვდიოდი? – ჩაეკითხა თავის თავს ბოცო. უეცრად არაბი მოუტრიალდა და გაუღიმა.

– როგორ, სულ სახლში ხარ, ბიჭო? ტფილისი სანახაობებით სავსე ქალაქია, რასაც ისურვებ, იმას გააჩენ. შენ, მთავარია, ვერცხლის ფული კიდევ მოიტანო და ისეთ სასახლეებში შეგიყვანთ, რომლიდანაც გამოსვლა აღარ მოგინდება.

– სასახლე ვიცი, მანდ ვცხოვრობ, მაგრამ ერთი ოცნება მაქვს, უფლისწული მინდა ვნახო – გაენდო ბოცო.

– რომელი უფლისწული?

– დემნა პირველი!

– ვاااჰ! ჰაირ, ჰაირ, შეიძლება, შეიძლება, როდის გინდა?

– ეხლავე!

– ფული გაქვს, მერე, რომ გადაიხადო?

– ვერცხლი არ მაქვს, მაგრამ ხანჯალი მაქვს, მამის ნაჩუქარი, ინდური.

– მანახე, აბა! – უთხრა შავწვერა არაბმა.

ბოცომ ინდური ხანჯალი ამოიღო და ქარქაშიდან რომ დააძრო, არაბის შავ სახეზე მბრწყინვალე ათინათი გაბრწყინდა და არაბს თვალები მოსჭრა. მეორე არაბმაც მოირბინა და ქარქაშს დაუწყო თვალიერება. ლალის თვლებით მოოჭვილი ქარქაში ხელიდან ხელში გადადიოდა და ბიჭს ყველა გაკვირვებული შეჰყურებდა. ამ დროს ბოცომ თავისივე ხანჯალი არაბს გამოსტაცა და ძველი ადგილი მიუჩინა.

– ჰეე, არ გინდა რომ უფლისწული განახოთ?

– როგორ არ მინდა, წამიყვანეთ და მერე მოგცემთ ამ ხანჯალს.

არაბებმა ერთმანეთს გადაულაპარაკეს, ბოლოს ბოცოს ხელი ჩაჰკიდეს და ზანტად მდგარ აქლემთა ქარავნის გვერდით კიბეს დაუყვნენ.

აქლემები აქ შარდავენ, საშინლად ყარს აქაურობა. საერთოდ, ტფილისი მართლაც უზარმაზარი ქალაქია, მაგრამ თუ მეგობარი გყავს, არ დაიკარგები, ვინც მეგობარს არ ეძებს, ის თავისა მტერია! – ატლიკინდა ახალგაზრდა არაბი და წვეროსან არაბს უკან მიჰყვა.

– ეს რა კიბეა?

– მტკვრის ქვეშ, ასი წლის წინ, არაბმა ამირამ გვირაბი გაჭრა. ჰოდა, ამ გვირაბით მივდივართ ეხლა, მეორე ნაპირზე გადასასვლელად.

– ხიდზე რატომ არ გავიარეთ, არაბო? – ჰკითხა ბოცომ.

– ხიდზე გასვლა ფული ღირს, ძმაო. ტფილისი ძვირი ქალაქია, აქ ყველაფერი უნდა იყიდო და გაყიდო, განსაკუთრებით ნამუსი და სინდისი.

– რაო? რას ამბობ, შენ რამე ხომ არ გეშლება! – იყვირა ბოცომ.

– არაფერი არ მეშლება! აი, შენც მალე დაწმუნდები, რომ ასეა, – უთხრა ახალგზრდა არაბმა და ბოცოს შეხედა.

– მაგარი მეომარი დადგება შენგან, თუ გინდა წამოგვყევი და დიდი ხალიფას ლაშქარში შეგირდად ჩაგრიცხავთ.

– რაო? ხალიფას ლაშქარში რა მინდა?

– შენი მხრებისა და ხასიათის პატრონი, ხალიფ მანსურის მსგავსი მეომარი დადგება, შვილო, მთავარია მუჰამედი იწამო და ისლამის ლაშქარში ნახო შენი ხმალი.

– ქრისტიანი ვარ! წავიდეთ ეხლა იქ, სადაც მივდივართ! – თქვა ბოცომ და ხანჯლის ტარი მოსინჯა.

– გვემუქრება კიდეც! – გაეღიმათ არაბებს და მტკვრის ქვეშ მიმავალ გვირაბს ჩაუყვნენ. უკუნ სიბნელეში მოყვნენ, ისეთ სიბნელეში, რომ კაცი ვერაფერს გაარჩევდა. თვით გვირაბი კი თეთრი ქვით იყო მოპირქეთებული. როცა ბოცომ ტალანი მოათვალიერა, გაოცდა, რადგანაც სულ სხვა სამყაროში აღმოჩნდა.

– როცა უკანასკნელი ამირა, ანუ პაპაჩემი ნავტიკით ტფილისიდან გაიპარა, აი ამ გვირაბით გავიდა და შემდეგ შირვანში გაუჩინარდა – უთხრა ახალგაზრდა არაბმა.

– ანუ, შენ ხარ ამირას მემკვიდრე? – გაეცინა ბოცოს

– კი, ტფილისში ყველა ამირას მიწოდებს, ბებიაჩემი ლეილა, ამირას მე-13 ცოლი გახლდათ. – ანუ, კიდევ არიან ამირას შთამომავლები, ტფილიისში? – იკითხა ბოცომ.

– არა, მარტო მე ვარ, სხვა ყველა დახოცა შავმა ჭირმა, თორემ ქართველები ლმობიერი ხალხი ხართ, ბატონო!

– კარგია, კარგი! ანუ, ეხლა მტკვრის ქვეშ ვართ, არა?

– დიახ, ასეა! აი აქ არის სწორედ ამირას შავი ზეთის ქარხანა, უფრო სწორედ, ამირას შავი ზეთის სახდელი დაზგა და ის დიდი ამფორა, რომელშიც მუდამ ინახებოდა სასწაულმოქმედი სითხე, შავი თესლის ზეთისა.

გვირაბში მართლაც მომიჯნავე დარბაზები და ოთახები აღმოჩნდა, აქვე იყო დიდი, შავი ამფორა, სადაც კიბე ჩადიოდა. გატეხილი მილაკები, უცნობი საწარმოსი, აქეთ-იქით იყო მიმოფანტული. ბოცო შედგა, დიდხანს უყურა ამ საოცრებას, დარბაზში სასიამოვნი სუნი იდგა უცხო ზეთისა. აქ, როგორც ჩანს, ცხოვრება ერთ დროს დუღდა და ვითარდებოდა, ეხლა კი, მხოლოდ თაგვებიღა დაძრწიან.

– საოცარია, არ ველოდი ამგვარ ამბებს, – ჩაილაპარაკა ბოცომ და არაბებს მიჰყვა. ათიოდე მეტრის გავლის შემდეგ კიდევ ერთ დარბაზს მიადგნენ.

– ეს რა არის? რა ხდებოდა აქ?

– ერთი ებრაელი სწავლული აქ იდუმალ ცდებს ატარებდა ადამიანებზე, მაგრამ შემდეგ შეიპყრეს და მტკვარში გადააგდეს, შემდგომ ხალიფამ აქ თავისი შვილი დაკრძალა და ასე გაჩნდა ახალი სასაფლაო მტკვრის ქვეშ. როგორც ჩანს, აქ

→

ბევრი დაიკრძალა და ეხლა ეს სასაფლაო აკრძალული მიწაა ქართველებისათვის. მხოლოდ ამ მიწაზე არ აქვს თქვენს მეფეს ფეხის შემოდგმის უფლება. ხალიფასა და მეფეს შორის მიმოწერა იყო ათიოდე წლის უკან. ჰოდა, ხალიფამ თქვენს მეფეს სთხოვა, ტფილისის საამირო შენი იყოს, მხოლოდ ამ სასაფლაოს არ შეახო ხელიო. მეფემაც დასტური მისცა და მას შემდეგ ამ სასაფლაოს მარტო არაბები ვსტუმრობთ. ქრისტიანების აქ შემოყვანის უფლება არ გვაქვს.

– ოჰ, – განცვიფრება ვერ დამალა ბოცომ და არაბებს ახედ-დახედა.

– წამოდი, უკვე მეორე მხარეს გავდივართ, მალე მეტეხის სამეფო სასახლეში ამოვყოფთ თავს. შენ იქ გელოდება ვინმე?

– კი, კი, უფლისწული მელოდება! – თქვა ბოცომ.

არაბებმა ერთმანეთს გადახედეს. შემდეგ ამირას შთამომავალმა თქვა:

– იცოდე, უკან ვეღარ წამოგიყვანთ, თავად უნდა წამოხვიდე.

– გვირაბი დაკეტილი იქნება?

– რა თქმა უნდა, გვირაბს მანდატური ქარციხა კეტავს და დილამდე არ გააღებს.

– ქარციხა ჩემი დოსტია.

– მერე რა, მაინც ვერ გაგიღებს. სპილენძის კარი დილამდე იკეტება.

– მაშინ ხიდზე გადმოვალ.

– ნება შენია, თუ გინდა გამოცურე მტკვარი და გამოდი.

მადლობა უთხრა ბოცომ, კიბეს აუყვნენ და მტკვრის სანაოსნოს რკინის ჭიშკარს მიადგნენ.

– ეს რა არის?

ტფილისი არაბი ხალიფების დროს სანაოსნო ქალაქი იყო, აქედან ნავები ახალციხემდე და შირვანამდე ადიოდნენ. შესაბამისად, ეს სანაოსნოს ჭიშკარია, რომლებიც ქართველებს თითქმის ასი წელია გაუქმებული გაქვთ.

არ ვიცოდი თუ ტფილისი სანაოსნო ქალაქი იყო.

არაბებმა ერთმანეთს გადახედეს, ერთმა უბეში ხელი ჩაიყო და გასაღების დაჟანგული ასხმა ამოიღო.

– აი, ეს გასაღებია, რაც მამაჩემმა მანსურმა გად-

მომცა და თან დამიბარა: არაბები დაბრუნდებიან და გამოგადგებაო! – გაიცინა არაბმა და კარების გახსნას შეუდგა.

– მანამდე არაფერი გეტკინოთ, ვიდრე არაბები დაბრუნებულან, ისე კი, მართლაც გამოგადგა, ხომ ხედავ, – გაიბადრა ბოცო და როდესაც კარი გაიღო, არაბებს მიჰყვა.

ამის მეტს ვეღარ წამოგყვებით, – თქვან ერთმა არაბმა.

– მართლა?

– დიახ, ჩვენ გვირაბს განვაგებთ, მის ზევით მარტო ფაკირების წარმოდგენის გამართვის უფლება გვაქვს. სხვა მხრივ ჩვენ მიწისქვეშეთის მოქალაქეები ვართ და ამიტომაც აქ დაგემშვიდობებით.

ბოცო მიხვდა, რომ არაბები მისგან დანაპირებ ხანჯალს ელოდნენ. ბიჭმაც არ დააყოვნა და...

– დაგემშვიდობები, – თქვა ბოცომ, ხანჯალს აკოცა და არაბს გაუწოდა. როდესაც არაბი ხანჯლის მითვისებას ლამობდა, ბოცომ უმალ იძრო ხანჯალი და ამირას შთამომავალი სწრაფი ნახტომით შეაშინა. არაბები „რკინის პორტას“ მიღმა გავარდნენ.

– არა, არა, ნუ გეშინიათ, ვიხუმრე, აი თქვენ ხანჯალი – სიცილით გაუწოდა ბოცომ.

– მანდ დადე ხანჯალი და, აი იმ კიბეზე გააგრძელე ასვლა! – მიუთითა მას შეშინებულმა არაბმა.

– კარგით! – ბოცომ ხანჯალი მითითებულ ადგილზე დადო, ცოტა ხანს დანანებით უყურა და შემდეგ კიბეს აჰყვა... როცა მოტრიალდა, ხანჯალი უკვე გაუჩინარებულიყო, ხოლო „რკინის პორტა“ საგულდაგულოდ დაეკეტათ.

– აფსუს... მაგრამ ეხლა უფლისწული უნდა წავაქციო, – ჩაილაპარაკა ბიჭმა...

გაგრძელება იქნება

კობა მოდებაძე

ჭულე

ჭულეში მზე რომ ანათებს
ჯერ ქვაბლიანზე ნისლია,
ამ ტაძრის მადლი ფარავდეს
ვინც ამ მამულის ღირსია.
ისე გადავალ ზანავებს
გული სავსეა ოცნებად,
ამ ტაძრის ხატი ფარავდეს
ვინც გულით მოილოცება.
სამცხელად ყოფნა მალაღებს,
– აქ ლოცვა ღაღადისია,
ყველას უფალი ფარავდეს,
ვინც აქ ცხოვრების ღირსია.

აგარის მონასტერთან

აქ ჩემი ხევის ჩქერია
და მშობლიური მიდამო,
რაც ბავშვობიდან მჩვევია,
როგორ არ უნდა ვიწამო.
აქ მუხნარს სალოცავიანს
როგორ არ უნდა ვეტრფოდე,
აქ შოთას ნატერფალია,
აქ სიწმინდეა ესოდენ.
ნატვრა ახდენად მქცევია,
ძირს ბარი ხარობს, მაღლა მთა,
აქ კვლავ ზარების ხმებია
ისმის გალობა მამათა.
აქ ჩემი სამცხის ხიბლია
და კურთხეული მიდამო,
სად ნატვრა-ნატვრით მივლია
როგორ არ უნდა ვიწამო.

ობობა

არ გინდა ეგ ჩხუბი, ობობავ,
დამეხსენ, ჩახსენი ქსელები,
ჩუმად და ქურდულად ობობავ,
მითხარი, რად მემტერები?
აქ ყოველ კუნჭულში ბადეა, –
ლამაზი იერის ხაფანგი,
ობობა ვინ გარქვა სახელად? –
მე ჩემი მპყრობელი დაგარქვი.
გეყოფა ეგ ჩუმი ომობა,
მოქსოვე სიმშვიდის ჰამაკი,
თუ გინდა მეზობლად ცხოვრება,
ახსენი ზღუდე და ხაფანგი.

***

ეს კავკასიის მთებია,
და თოვლი ჯერ არ დაძრული,
სად ღმერთთან ახლოვდებიან,
– სიცოცხლეს არ აქვს სასრული.
ეს საქართველოს მთებია,
ამირანმინაჯაჭვარი,
ყოველ მოცილეს დაესოს
წმინდა გიორგის სამჭვალი.
აქ ვაჟკაცობა მეფობს და
ქართული გენის სიმაღლე,
მე აქ სიცოცხლეც მეყოფა
ლექსის წერა რომ მიყვარდეს.

***

ბორკილის შეხსნას ვეცადე,
მსურდა პატივი მეცა და,
შენ ბოროტებად აღიქვი,
რაც რომ სიკეთე მეწადა.

***

სანამ გავქართულმიწავდე,
ამ მიწას უნდა ვიცავდე,
ამ ენას უნდა ვიცავდე,
ამ რწმენას უნდა ვიცავდე.

სვანეთი

ენგურ-ენგურ,
ხევ-ხევ,
სერ-სერ,
სადაც ბარზე მთა მეტია,
სად მოყვარე
მეტობს მტერზე,
იქ მთათეთრი სვანეთია.

***

ხვალ რომ ვიცი
დღე იქნება არნახული,
ადექით და სიყვარული
მიმოფანტეთ,
ან მაჩუქეთ,
ან მომყიდეთ გაზაფხული,
მხოლოდ ისე, რომ ნამცეციც
არ მოგაკლდეთ!

***

სანამ მოცილე გამოჩნდეს,
ჩალის ფასი აქვს ოქროს,
თუ შინამტერი არია,
ვინღა გააღებს ბოქლომს?!..

დრო

ვერ გამოაბამ ჯაჭვზე ძაღლივით,
ისე გასხლტება, არ იყეფება,
თვალს ვერ შეასწრებ,
ისე ჩაგივლის,
ისე მალულად – კატისფეხება.
და მერე ფერში იგრძნობ ოინებს,
როგორ გაგყიდა და შეგაჩვენა,
ვინ შეგიბრალებს, ვინ გაპოვნინებს,
ან ვისღა ძალუძს გამოსარჩლება?!
რომელს კუმპალი შერჩება სუსტი,
ან რომელს დღენი გამოელევა,
პანტა დაცვივა კვლავ
პანტაპუნტით,
ადრე თუ გვიან დრო მოგვერევა.
დრო ფერით ისევ, დრო
ფერით მაინც
გეტყვის, რაოდენ აზრით გივლია,
გახედე წარსულს თუ მოჩანს კვალი,
თუ ყველა ვალი გადაგიხდია.
ვერ გამოაბამ მზის სხივს მდელოზე,
დღე-ღამეები ისევ მირბიან,
არ უნდა შეგრცხვეს გარდასულ
დროზე,
ამაყად მოჰყვე როგორც გივლია.

***

რამდენ ფათერაკს დავეხსენ
და კიდევ რამდენს ველი,
ყოფნა-არყოფნის ზღვარზე ვარ,
ღმერთი მწყალობს და მშველის.
რამდენ სავალსაც გავლევ,
მატარე მეტი რწმენით,
უფალო, რაც რომ მარგუნე,
მადლობელი ვარ შენი.

***

გიჟმაჟ თერგივით რბიან დღეები,
დროის გასვლასაც ვნატრობ,
თან ვჩივი,
რად მეშინია არმიტევების
და მის გარეშე ღმერთთან კავშირი.
შენ ისევ ის ხარ, თუმც აღარ
ჩანხარ,
ჯერ რა მივლია... რა დრო გასულა...
შედგომა ღირდა რჩეულ მიწაზე,
გოლიათ მთებზე გოლიათურად,
აქ ჩემი ლოცვაც კი წაღმართია,
გაგვაძლიეროს ღმერთმა რწმენაში,
რა სიწმინდეა და რა მადლია,
მოთმინებას და მიტევებაში.

მთის წყარო

წყაროვ, წყაროვ, ცელქო წყაროვ,
ვიხუმროთ და ვიხარხაროთ,
შენც ნამგზავრი, მეც ნამგზავრი,
მწყურვალები შევეყაროთ.
დაუშრეტელს გიხილავდე
აწ და მარადისად ნეტავ,
ვინძლო, ყოველ შეხვედრაზე
დაწაფებას შემოგბედავ.
ეგებ სული გამიგრილდეს,
რაკი ვპოვებ შენებრ წმინდას,
მაღლა, მაღლა მთათა კიდეს,
შენით გზები გამიბრწყინდა.

გარიჟრაჟია

გარიჟრაჟია...
ეკიდება ცეცხლი ჯოჯოხეთს
და სამოთხეში შესასვლელი
კარი ნათდება...
გასწიეთ ფარდა,
რომ ხალისი ვიგრძნოთ ბოლომდე,
იქნებ ეს დღეა,
ის ახდენა რომ იბადება...
გასწიეთ ფარდა!...
მზის ამოსვლა იწყება ახლა...

ზუგდიდი

ხიბლით სავსე,
დადიანთა სასახლისა ეზოს შინა,
სამეგრელოს გულში ვდგავარ,
აქაც ვპოვე მყუდრო ბინა.
აქაც ჩემი სამშობლოა,
სულით დიდი – პაწაწინა.

აქაც სევდა გაჰყოლია
აფხაზეთში ხიდს ენგურის,
ახლა ცირა თეთრ ელარჯს ზელს,
და სიმღერა ჟღერს მეგრული.

და აქედან შევთხოვ უფალს,
ისე ძლიერ გადმოგვხედე,
რომ კვლავ გვევლოს თავისუფლად
სამოთხიდან სამოთხემდე.

ოხერას წმინდა გიორგი

აქედან იწყება პირჯვრისწერა,
მერე საფარისკენ გრძელდება,
ღვთის რწმენა აქედან იცისკრება,
ხეობის სივრცეში ვრცელდება.
ამ საყდარს წმინდა გიორგისას
სხვა ძალა, სხვა მადლი ჰკმევია,
უხსოვარ დროიდან ადგილს
ღვთისას,
ოხერას საყდარი რქმევია.
აქ რაც კი პირჯვარი მიწერია,
უფალო, ნახევრის ნახევარს,
თუ მაინც ოდესმე ამისრულებ,
ეყოფა მამულს და აქ ყველას.
ხეობის მადლო და მოდარაჯევ,
შენიდან საფარის გამხელას
ყოველდღე მოველით სილამაზედ,
ოხერავ რქმეულო სახელად!

პირველი სეკულარული მუზეუმი საქართველოს მერიდიანულ საქართველოში

„თუ მუზეუმი არ ასრულებს თავის უფლებამოსილებას, მის ნაცვლად ამ მოვალეობას შეასრულებს სხვა დაწესებულება.“

ბარი ლორდი

ახალი ექსპოზიციის შექმნის პროცესში ორგანიზატორები ყოველთვის მნიშვნელოვანი გამოწვევის წინაშე დგებიან. მრავალწლიანი სამუზეუმო გამოცდილების მიუხედავად, გამოფენაზე იდეის სრულფასოვნად წარმოჩენა შემოქმედებით განცდებთან არის დაკავშირებული. ასეთი განწყობა დამეუფლა, როდესაც სათავადაზნაურო საკრებულოს გამგეობის თავჯდომარემ ბ-ნ მალხაზ ამაშუკელმა სამთავროს დედათა მონასტერში მუზეუმის შექმნის იდეა გამანდო და ამ პროექტში მონაწილეობა შემომთავაზა.

მუზეუმის დაარსებასთან დაკავშირებით გადაწყდა, სამთავროს მონასტრის იღუმენიას დედა ქეთევანს შევხვედროდით, რომელიც ამ იდეის ავტორი და სულის ჩამდგმელი აღმოჩნდა. აუდიენციის წინ ვღელავდი. არ ვიცოდი, ჩემთვის სრულიად განსხვავებულ გარემოში, როგორ მოვქცეულიყავი. ეს იყო სამონასტრო ყოფასთან ჩემი პირველი შეხვედრა, რომელიც ყოველთვის მიუწვდომელ სამყაროდ მიმაჩნდა. შეხვედრისთანავე დედების გულთბილმა მიღებამ ყოველგვარი დაძაბულობა მომიხსნა. საუბარი ჩვეულებრივ რეჟიმში წარიმართა.

მუზეუმის საკვანძო საკითხების განხილვის შემდეგ დედა ნინოსა და ბ-ნ მალხაზთან ერთად გადაწყდა, სამთავროს ფერისცვალების ეკლესიისა და შენობების ინტერიერები დაწვრილებით შეგვესწავლა, რათა გამოფენისთვის საჭირო ექსპონატები მოგვეძია. გარდა საეკლესიო და ეთნოგრაფიული ნივთებისა, შესაძლებლობა მოგვეცა გამოფენა არქეოლოგიური მასალითაც გაგვემდიდრებინა. სამთავროს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ექსპონატები იმ დროისათვის მცხეთის მუზეუმში ინახებოდა. წინასწარი შეთანხმებით, ორ ათეულზე მეტი არტეფაქტი, ხელშეკრულების საფუძველზე, დედათა მონასტრისთვის უნდა გადაეცათ.

სამუშაოს პროცესში გაირკვა, რომ რელიგიურ თემაზე გამოფენის მოწყობა განსხვავებულ მიდგომებს მოითხოვდა. დედათა მონასტრის მუზეუმი ქართულ მართლმადიდებლურ სივრცეში განსაკუთრებულ შემთხვევას წარმოადგენდა. მსგავსი შინაარსის ექსპოზიცია საქართველოში პირველად იქმნებოდა.

მართალია რამდენიმე გამოფენის ავტორი გახლდით, მაგრამ წინა ექსპოზიციები თემატურად, ისტორიულ-ეთნოგრაფიული ხასიათისა იყო და მათზე მუშაობა არ გაგვძელებია. პრობლემას ისიც ართულებდა, რომ გამოფენისთვის ექსპონატების რესურსის შესახებ ინფორმაცია არ გაგვაჩნდა. ძირითადად იმ მასალით უნდა გვესარგებლა, რასაც სამთავროს დედათა მონასტრის სივრცეში მოვიძიებდით. გადაწყდა, რომ თემატური გეგმიდან დაწყებული, მხატვარ-რესტავრატორის საქმით დამთავრებული, გამოფენა ჩვენი ძალებით უნდა შეგვექმნა. დრო არ ითმენდა. გამოფენის მოსაწყობად ოთხი თვე რჩებოდა. მუშაობა 2016 წლის ივნისის დასაწყისში დავიწყეთ.

საგამოფენო სივრცის დაგეგმარების შემდეგ, დარბაზში ახალი განათება დავამონტაჟეთ. შევადგინეთ კარადების ესკიზები, რომლებსაც სელის უხეში ქსოვილი გადავაკარით. თეთრად შეღებვის შემდეგ ვიტრინებმა და საექსპოზიციო დაფებმა ჩვენთვის სასურველი ფაქტურა მიიღო.

ექსპოზიციის ტექნიკური სამუშაოების პარალელურად ექსპონატების მოძიება და სპეციალური ლიტერატურის შესწავლა დავიწყეთ. ვახდენდით საარქივო მასალის დამუშავებას, ვეცნობოდით ეთნოგრაფიულ და არქეოლოგიურ წყაროებს. ვარჩევდით ფოტო მასალასა და სხვა.

საგამოფენო იდეის ტექნიკური გადაწყვეტა თავისი საქმის უბადლო ოსტატის ბ-ნ გია გვივრაძეს მივანდეთ. მასზე დიდად იყო დამოკიდებული ექსპონატის დაცვისა და სტენდზე ნივთის სრულფასოვნად დამაგრების საკითხი, რაც არტეფაქტების უსაფრთხოებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

მასალების მოძიებისა და კლასიფიკაციის შემდეგ შემოქმედებითი ჯგუფის მთავარ მიზანს ექსპოზიციის შინაარსისა და ფორმის ურთიერთმიმართების საკითხის გადაწყვეტა წარმოადგენდა. ჩვენი კონცეფციით საეკლესიო შინაარსის ექსპოზიცია ვიზუალური თვალსაზრისით სამოქალაქო საგამოფენო ფორმას არ უნდა აცდენოდა. მათ შორის ოქროს შუალედის პოვნა საშუალებას მოგვცემდა ექსპოზიცია სანახაობრივად და ესთეტიკურად დახვეწილი გამოსულიყო. ამგვარი მოდელით გამართული გამოფენა საინტერესო გახდებოდა, როგორც მორწმუნეებისათვის, ასევე ჩვეულებრივი რიგითი დამთვალიერებლისთვისაც. კონცეფტის მიხედვით, გამოფენა აკადემიურ-კონსერვატიული მიმართულების (ისტორიის უწყვეტი თხრობა) იდეური შინაარსით უნდა აგებულიყო.

გამოფენის ამგვარი ხერხით წარმოჩენა მნიშვნელოვან სამსახურს გაუწევდა მოსწავლე-ახალგაზრდობის პატრიოტულ-ემოციონალური აღზრდის საკითხს. ამიტომაც ექსპოზიციაზე ყველა ნივთს განსაკუთრებული დატვირთვა მივეცით და მოვლენებს შორის კავშირის ფუნქცია დავაკისრეთ. ყოველ ექსპონატს მონასტრის ისტორიის ერთიან ჯაჭვში მნიშვნელოვანი პროცესები უნდა აღეწერა.

დედათა მონასტრის მუზეუმისთვის გამოყოფილი საგამოფენო სივრცე 50 კვადრატულ მეტრს ითვლიდა, სადაც უნდა წარმოგვედგინა სამთავროს წმინდანთა მოღვაწეობა, ისტორია, ეთნოგრაფია და არქეოლოგია. შემოთავაზებული ფართობი არ აღმოჩნდა საკმარისი აღნიშნული თემების საჩვენებლად. ამასთან დაკავშირებით მოვითხოვეთ გაფართოება. მოთხოვნამ ზოგიერთი დედის უკმაყოფილება გამოიწვია. თუმცა იღუმენია დედა ქეთევანის ჩარევის შემდეგ საკითხი დადებითად გადაწყდა. ორ თვეში იმაზე მეტი ექსპონატი შეგროვდა, ვიდრე ჩვენ გვქონდა წარმოდგენილი. გამოფენაზე უნიკალური ნივთების დაცულობის თვალსაზრისით საჭირო გახდა საექსპოზიციო სივრცეში მინით დაფარული რამდენიმე ვიტრაჟული კარადის დამონტაჟება.

შემინული კარადები, რომლებშიც გამოფენის ძირითადი თემები უნდა წარმოგვედგინა, დარბაზის კედლის ნიშებში განვათავსეთ. ამით ორი პრობლემა გადაიჭრა: თემები, სივრცობრი თვალსაზრისით ლოკალიზდა და უნიკალური მასალა დაცული აღმოჩნდა.

გადაწყდა, რომ გამოფენაზე მთავარი აქცენტები მონასტრის წმიდანების – დედების (მამიდა-ძმისშვილი) ნინო ამილახვრებისა და წმიდა მამა გაბრიელის მოღვაწეობაზე გაგვეკეთებინა.

მუზეუმის ექსპოზიციის გამართვა მამა გაბრიელის ვიტრინით დავიწყეთ. ვფიქრობდით, თუ მისი საგამოფენო კარადის აგებას ღირსეულად შევძლებდით, შემდგომ სამუშაოებში იგი თავად წაგვიძღვებოდა წინ. ასეც მოხდა.

წმიდა მამა გაბრიელი (1929-1995 წ.წ.) სიცოცხლის ბოლო წლებში სამთავროს დედათა მონასტერში დაემკვიდრა. ღვთის მადლით აღვსილი მისი სენაკი მრგვალი კოშკის პირველ სართულზე განთავსდა. არქიმანდრიტი გაბრიელი ლეგენდად ქცეული ქართული ეკლესიის ცოცხალი მატიანე გახლდათ.

ჩვენთვის უდიდეს პატივს წარმოადგენდა წმიდა მამა გაბრიელის კელიის შესწავლა და ექსპოზიციისათვის ნივთების შერჩევა, რომელიც დედა ნინოსა და დედა ნატალიას თანხლებით განხორციელდა. სენაკში ყველაფერი პირვანდელ მდგომარეობაში არის შენარჩუნებული. დედები, რომლებიც ჩვენთან ერთად მუშაობდნენ, მოკრძალებით ეპყრობოდნენ ყველა ნივთს და ეს დამოკიდებულება მალე ჩვენც გადმოგვედო. იმ დღეს სამთავროს კოშკში მუშაობა დიდხანს აღარ გაგვიგრძელებია. პირადად დამრჩა ისეთი განწყობა, რომ თავად ნივთები არ გვიშვებდნენ ახლოს. კოშკში დროც სხვანაირად აღიქმებოდა.

წმიდა მამა გაბრიელის ნივთების შერჩევას რამდენიმე დღე მოვანდომეთ. საქმის სწრაფად წარმართვას კოშკში არსებული მრავალი ნივთი და ფართობის სიმცირე უშლიდა ხელს. როგორც იქნა, მამა გაბრიელის ექსპოზიციისათვის საჭირო მასალის შერჩევა დავასრულეთ და ჯერი მის საგამოფენო დარბაზში გადატანაზე მიდგა. ამ დროს დედა ნატალიამ ბრძანა: „მამა გაბრიელმა დაიბარა ჩემი ნივთები კოშკიდან ორმოცდაათი მეტრის იქით არ გაიტანოთო!“ წმინდანის დანაბარები მოკვდავს მის აღსრულებას ავალდებულებს. ჩვენი აზრით მამა გაბრიელის სურვილი იყო ნივთები სამთავროს გალავნის იქით არ გასულიყო. მის მიერ დასახელებული 50 მეტრი ზუსტად შეესაბამება მანძილს კოშკის კარიდან სამთავროს მთავარ კარიბჭემდე.

ჩვენი აზრით, ვიტრინაში განთავსებულ ნივთებს არა მხოლოდ თავის თავზე უნდა მოეთხროთ, არამედ მარადიული თემების: სიკეთისა და ბოროტების, სიყვარულისა და სიძულვილის, სიკვდილისა და სიცოცხლის აზრობრივი გამოხატულება გამხდარიყო. გვსურდა დამთვალიერებლის ცნობიერებაში ამ თემების პროვოცირება გამოგვეწვია. მამა გაბრიელი ხომ თავად იყო ჭეშმარიტების გამხმოვანებელი. მისი სიტყვები: „ღვთის სიყვარული ერთმანეთის სიყვარულშია“ და „ლოცვა მთებს დასძრავს“ მარადიული მცნებებია და საუკუნეებს გადასწვდება. ვცდილობდით ამ სიტყვების მატერიალიზაცია მოგვეხდინა.

ექსპოზიციას წმიდა მამა გაბრიელის პროტესტანტული სული და საბჭოთა უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლის ისტორიაც უნდა გადმოეცა. იდეის არსი თეთრი და შავი ფერის კონტრასტული მონაცვლეობით გვსურდა დაგვეხატა. კარადაში წარმოდგენილი თაბაშირის ნივთით მამა გაბრიელმა მართლმადიდებლობის მარადიულობაზე მიგვანიშა. მან საბჭოთა კავშირის გერბის მაკეტში ნამგალი და უროს ნაცვლად ქრისტეს ჯვარი განათავსა და ამით ყველაფერი თქვა. წმიდა მამასა და მუზეუმში მოსულ სტუმარს შორის სულიერი კონტაქტის დასამყარებლად მისი ხელით შექმნილი ტექსტების (ანდერძი, მიმართვა დედებს) ორიგინალები განვათავსეთ. მის უბრალოებასა და თანასწორობაზე მიგვანიშნებს ვინტაჟური ფოტო, დამსხვრეული მინით, რომელზეც მისი აშენებული (ნავთლუხი) ეკლესიაა აღბეჭდილი. მონასტრის დედების ინიციატივით გადაწყდა, წმიდანის სამოსი ძველ სკივრში ჩაგვეწყო და ვიტრინის გარეთ წარმოგვედგინა.

გამოფენის მესვეურებს გვსურდა მამა გაბრიელის კარადა ვიზუალურად კოშკის ინტერიერის გაგრძელება გამოსულიყო. ამ მხრივ ვიტრინაში წარმოვადგინეთ: ბერის პირადი სამოსი, კვერთხი, ფსკნილი, სათვალე, ქუდი, პატარა სკამი, კედლის საათი, ნავთქურა, სანათი და სხვა. გარდა სიცოცხლეში ნახმარი ნივთებისა, კარადაში წარმოდგენილია

გარდაცვალების შემდეგ საფლავიდან ამოღებული ფეხსაცმელი, ტყავის ქამრის ნაწილები და ნარის დეტალი.

წმიდა მამა გაბრიელის შინაგანი ხასიათის გადმოსაცემად ნივთები რესტავრაციის გარეშე გამოვფინეთ.

ერთკვირიანი მუშაობის შემდეგ მამა გაბრიელის ექსპოზიცია დასრულდა. ვიტრინამ დიდი მოწონება დაიმსახურა. დედა ქეთევანის დალოცვისა და გამხნევების შემდეგ მუშაობა ახალი ენერგიით განვაახლეთ.

მეორე კარადა მონასტრის ისტორიის ამსახველ ექპოზიციას მიეძღვნა. აქ ნაჩვენებია წმიდანების ნინო ამილახვრის (უფროსი. 1784-1839 წ.წ.) და ნინო ამილახვრის (უმცროსი. 1815-1904 წ.წ.) სამონასტრო ცხოვრების ამსახველი მასალა. ვიტრინაში განთავსდა როგორც ზოგადი ხასიათის ექსპონატები, ასევე იღუმენთა პირადი საეკლესიო ნივთები, მათ შორის გამოფენილია: დედების ყოველდღიური სამონასტრო სამოსი, თავსაბურავი, სქემა, ძველი დოკუმენტები (ეგზარხოსის 1847 წლის განკარგულება დედათა მონასტრის დაარსების შესახებ), ბრინჯაოსა და ვაზისაგან შეკრული ჯვარი, სირიული ვერცხლის კანდელი, 1849 წლის ხატის მოოქროვილი ჩასასვენებელი ქართული წარწერით, საკლესიო ბაირაღის ბუნიკი, სამონასტრო ყოფის ნივთები, მონასტრის კარიბჭის გასაღები და სხვა.

ამავე კარადას ამშვენებს მონასტრის იღუმენის ნინო ამილახვრის (უმცროსი) ვერცხლის პირადი სამკერდე ჯვრები, სახელმწიფო ჯილდოები, XVIII-XX ს.ს.-ის მოვერცხლილი საეკლესიო წიგნები, მისი ხელით შედგენილი წერილები, დედათა ძველი ფოტოები და სხვ.

ექსპოზიციაზე მუშაობის პროცესში გაირკვა, რომ შესაძლებელია მონასტერს დაუბრუნდეს იღუმენია ნინო ამილახვრის კვერთხის სპილოს ძვლის თავი, რომელიც, ჩვენი ვარაუდით, საპატრიარქოს სიძველეთა საცავშია დაუნ-

→

ჯებული. ამისათვის კარადაში გამოიყო ადგილი, სადაც ექსპონატი მომავალში დაიდებს ბინას. იმედია იღუმენის ინსიგნიის სიმბოლო თავის ისტორიულ ადგილზე დაბრუნდება.

სამთავროში დედათა მონასტრის ისტორია მჭიდროდ უკავშირდება მისი დამაარსებლის – ნინო (უფროსი) ამილახვარისა და მისი ძმისშვილის ნინო (უმცროსი) ამილახვრის მოღვაწეობას. ამასთან დაკავშირებით, ისტორიული ექსკურსი განთავსებულია ვიტრინის საინფორმაციო დაფაზე. სამწუხაროდ, ნინო (უფროსი) ამილახვრის შესახებ არსებული ცნობები თითქმის არ მოგვეპოვება, მხოლოდ ცნობილია, რომ იგი ნინო (უმცროსი) ამილახვრის აღმზრდელი მამიდა ყოფილა. გარდაცვლილა 1839 წელს და დაკრძალულია მონასტრის ტერიტორიაზე.

უნდა აღინიშნოს, რომ განსაკუთრებული ღვაწლი დედათა მონასტრის აღმშენებლობაში ნინო (უმცროს) ამილახვარს მიუძღვის. საეკლესიო მოღვაწეობის გარდა იღუმენია დედა ნინო ქვეყანაში მრავალი საერო საქმის გულმხურვალე მხარდამჭერი ყოფილა. იგი ქართულ ჟურნალ-გაზეთებში ხშირად გამოდიოდა მოწოდებით – დახმარებოდნენ ქვრივობლებსა და უსახლკაროებს. 1895 წლიდან აქტიურად მონაწილეობდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში. ამასთანავე, იგი გახლდათ რუსეთისა და საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების საპატიო წევრი. სხვადასხვა პერიოდში იღუმენია ნინო ამილახვარი დაჯილდოებულია ძვირფასი თვლებით მოჭედილი გულსაკიდი ჯვრით, წითელი ჯვრის ორდენითა და ამავე საზოგადოების სამკერდე ნიშნით. წმიდა ნინო ამილახვარი მონასტერს 42 წლის განმავლობაში წინამძღოლობდა. მისი ძალისხმევით სამთავროში შეკეთდა ტაძარი, აიგო ახალი სამონასტრო შენობები, ორჯერ დაარსდა გოგონათა სასწავლებელი, აშენდა ახალი გუმბათოვანი ეკლესია და სხვა.

ექსპოზიციის ეთნოგრაფიულ სექტორში გამოფენილია მონასტერში არსებული კერა-

მიკისა და სპილენძის ჭურჭელი. აღნიშნულ ნივთებთან ერთად ვხვდებით დედების ხელსაქმის სამუშაო იარაღებს. მათ შორის წარმოდგენილია: საკერავი მანქანა, საქსელ-მისაქსელით გამართული საქსოვი ჩარჩო, საქარგავად განკუთვნილი ტილოს გადასაჭიმი დაზგა, ქარგვის (გვირისტი) პროცესის საჩვენებელი ნიმუში, კანვით გადაჭიმული ქარგა, მატყლის საჩეჩელი, ფთილის საგრეხი თითისტარი და სხვა. ეთნოგრაფიულ ნიმუშებს შორის წარმოდგენილია ქალის ხევსურული უნიკალური სამოსი. მათ შორისაა: კაბა სადიაცო, ქოქლო, მანდილი, სათაურა, თათები, წინდები და სხვ.

სამთავროს მონასტერში ქარგვა-ქსოვის გარდა დედები დახელოვნებული ყოფილან საბნების კერვაში და ამ საქმიანობას მცხეთის მოსახლეობასაც უზიარებდნენ. მონასტერში შეკერილი ლეიბ-საბნები მცხეთის შემოგარენში ფართო მოთხოვნილების საგნად ქცეულა. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ამ საქმის უბადლო ოსტატი დედა იღუმენია ანა აჭაიძე, რომელიც მხატვრული თექის დიდოსტატიც ყოფილა. მისი ხელით დამზადებული თექის ნიმუში საგამოფენო დარბაზშია წარმოდგენილი. უნდა აღინიშნოს, რომ მონასტრის ერთ-ერთ სათავსოში ამჟამადაც ინახება ამ საქმისთვის განკუთვნილი ხის ძელისაგან შეკრული დაზგა, რომელიც, დიდი მოცულობის გამო, ექსპოზიციაზე ვერ წარმოვადგინეთ.

წარსულში წმინდა ნინოს მონასტრის დედები განაფული ყოფილან ხალიჩ-ფარდაგებისა და ჯეჯიმების ქსოვაშიც. ძაფებსა და საღებავებს ბუნებრივი მასალისაგან ამზადებდნენ. დედათა მონასტრის ცხოვრების წესისა და რიგისათვის უცხო არ ყოფილა ფიზიკური შრომა, რომლის მაგალითი ჯერ კიდევ მონასტრის დამაარსებელმა ნინო (უფროსმა) ამილახვარმა გვიჩვენა, როდესაც ის რამდენიმე დედასთან ერთად XIX ს-ის ოციან წლებში სამთავროს შემოგარენში ღვთისა და შრომის იმედად დაემკვიდრა.

დარბაზის ერთი ნაწილი დაეთმო მონასტრის წინამძღოლთა ფოტოების ექსპოზიციას, რომელიც ქრონოლოგიურად არის წარმოდგენილი. ამავე სივრცეში გამოფენილია ქრისტიანული სარიტუალო დანიშნულების ნივთები, როგორიცაა: სააღდგომო კვერცხი, ნეფე-პატარძლის საქორწინო გვირგვინები, საეკლესიო შანდალი და სხვა.

სამთავროს ისტორიის სრულყოფილად წარმოჩენისათვის გადავწყვიტეთ დარბაზის ერთი ნაწილი არქეოლოგიური ნიმუშებისთვის დაგვეთმო, სადაც გამოფენილი იქნებოდა მონასტრის ტერიტორიაზე აღმოჩენილი არტეფაქტები. ძეგლთა დაცვის სამმართველოსა და მცხეთის მუზეუმის თანადგომით ორ ათეულზე მეტი არტეფაქტი დედათა მონასტერს გადაეცა. წარმოდგენილი მასალა ადასტურებს, რომ ჯერ კიდევ IV-V ს.ს-ის სამთავროს ტერიტორიაზე ნამოსახლარი

არსებობდა. კვლევის შედეგად გამოვლინდა სხვადასხვა პერიოდის კულტურული შრეები. აღსანიშნავია, რომ ამ ტერიტორიაზე მდგარა ბაზილიკის ტიპის ნაგებობა, რომელიც უფრო ადრეული ნაგებობის ნაცვლად უნდა აგებულიყო. სტენდზე და დახურულ ვიტრინაში ქრონოლოგიური თანამიმდევრობით წარმოდგენილია III საუკუნის პერიოდიდან მოყოლებული, ვიდრე, XIX ს-ის 40-იან წლებამდე მონასტრის ტერიტორიაზე მოპოვებული არქეოლოგიური ნიმუშები. მათ შორის ვხდებით მინის, თიხის, ბრინჯაოსა და ოქროს ნივთებს. 2011 წელს სწორედ იმ ადგილას, სადაც ამჟამად მუზეუმის შენობა დგას, დიდგვაროვნი ქალბატონის აკლდამა აღმოჩნდა, რომლის არტეფაქტების ერთი ნაწილი არქეოლოგიურ ვიტრინას ამშვენებს.

გამოფენის არქეოლოგიურ სექტორში ასევე წარმოდგენილია მკვლევართა მიერ ნაპოვნი V ს-ის ეკლესიის ქვის ფრაგმენტი და სამთავროს ფერისცვალების ტაძრის XI ს-ის კანკელის დეტალები, რომელიც ქართული ქვითხუროობის უნიკალურ ნიმუშს წარმოადგენს. კანკელის ნიმუშები, რომლებიც საპატრიარქოს სიძველეთა საცავში ინახებოდა, სამთავროს მუზეუმს მუდმივ მფლობელობაში გადაეცა.

დედათა მონასტერში ნივთების მოძიებისას, მალხაზ ამაშუკელთან ერთად ქართული ნაქარგობის უნიკალურ ნიმუშს – ევსტათი პლაკიდას ხატს მივაკვლიეთ. მასზე გამოსახულია ევსტათი წმინდანი ცოლ-შვილთან და წმიდა გიორგისთან ერთად (ზომა 27x25 სმ). ქრონოლოგიით, მსგავსი სიუჟეტითა და ტექნიკით შესრულებული ნაქარგობა მსოფლიოში მხოლოდ ორია შემორჩენილი. ერთი დედათა მონასტერში ინახება, ხოლო მეორე – ინგლისში. ხელოვნების უნიკალური ნიმუში ბ-ნ მალხაზ ამაშუკელის დახმარებით ხის კიოტაში მოთავსდა, რის შედეგადაც ექსპონატი საგამოფენო ცენტრში, წერტილოვანი განათების ქვეშ გამოიფინა.

დედათა მონასტრის ერთიანი სურათის შესაქმნელად საექსპოზიციო სივრცის ერთი ნაწილი მონასტრის საგანმანათლებლო საქმიანობას დაეთმო. მონასტერში პირველი სასწავლებელი ოფიციალურად 1866 წლის 29 მარტს გაიხსნა, რომლის სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი იღუმენია ნინო (უმცროსი) ამილახვარი იყო. აღნიშნულ დაწესებულებას იგი 40 წლის განმავლობაში მწყემსავდა.

გამოფენაზე წარმოდგენილი საარქივო მასალებით ირკვევა, რა საგნები ისწავლებოდა მონასტრის სკოლაში, მათ შორის იყო: საღვთო რჯული, წმინდა წერილი და ეკლესიის ისტორია, ქართული ენა, არითმეტიკა, გეოგრაფია, ისტორია, საეკლესიო გალობა, კერვა, ქსოვა და სხვ. სამთავროს დედათა მონასტრის სკოლა, როგორც სანიმუშო სასწავლებელი, XIX ს-ის 80-იანი წლების შუა ხანებში, თბილისში გადაუტანიათ.

1889 წლის 1 ოქტომბერს წინამძღვარ ნინო ამილახვარის თაოსნობით სამთავროს დედათა მონასტერში ხელმეორედ ეყრება საფუძველი ახალ ოთხწლიან ქალთა სასწავლებელს, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, კირიონ II-ის მცდელობის მიუხედავად, 1918 წელს, უსახსრობის გამო, არსებობა შეუწყვეტია.

სასწავლებლის ისტორია ძველი ფოტო სურათებით წარმოვაჩინეთ. როგორც ჩანს, რელიგიური და სახალხო დღესასწაულების დროს მონასტრის ეზოში სურათის გადაღება ტრადიციად იყო ქცეული. ფოტოებს, რომლებსაც დრო წამით შეუჩერებიათ, სკოლის ისტორიის უნიკალურ პერიოდზე მოგვითხრობს. ვიზუალური ანთროპოლოგიის თვალსაზრისით, აღნიშნული მასალა მომავალი თაობებისათვის ფასდაუდებელ საგანძურს წარმოადგენს.

ფოტო მასალის გარდა, მონასტრის არქივში საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებით, მრავალი დოკუმენტი აღმოჩნდა, რომლებიც საინტერესო ცნობებს გვაწვდიან აკადემიური მოსწრების, სასწავლო საგნების, სკოლის საფინანსო საკითხების შესახებ. ექსპონატები მათთვის სპეციალურად დამზადებულ ჩარჩოებში ჩაისვა და საგანმანათლებლო სივრცეში გამოიფინა. აქვეა წარმოდგენილი წმინდა ექვთიმე აღმსარებლის (კერესელიძე) ხელით შექმნილი საგალობლის ნოტები, მცენარეთა ქართულ-ლათინური სახელების ლექსიკონი, ხელით გადაწერილი საეკლესიო წიგნები და სხვ.

დედა იოანას დახმარებით, არქივში მუშაობისას, სამთავროს ძველი შენობების გეგმა-ჩანახაზების უნიკალურ მასალას მივაკვლიეთ, რამაც ახალი შინაარსის თემატიკის შექმნისკენ გვიბიძგა. მოპოვებული ვიზუალური ინფორმაცია საფუძვლად დაედო სამთავროს არქიტექტურასთან დაკავშირებულ საექსპოზიციო სტენდს. მასშტაბში ჩახაზული ანაზომები, რომლებიც საქართველოს საექზარხოსოსთან არსებულ არქიტექტურის სამსახურშია შექმნილი, XIX ს-ის ბოლო პერიოდს განეკუთვნება. იგი შესრულებულია სპეციალურ გასანთლულ ქაღალდზე. ამავე სტენდზე წარმოდგენილია სხვადასხვა რაკურსით გადაღებული სამთავროს ფერისცვალების ეკლესიის ძველი ფოტოები. ისტორიული ღირებულების თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა ენიჭება იღუმენია ნინო ამილახვრის მიერ აშენებული ეკლესიის ნახაზსა და ფოტოებს. დღეისათვის ეს ნაგებობა აღარ არსებობს. მის შესახებ ინფორმაციის მიღება გამოფენაზე არსებული ფოტო და არქიტექტურული ნახაზითაა შესაძლებელი.

სამთავროს წმიდა ნინოს დედათა მონასტერი საარქივო ისტორიული მასალების გარდა მრავალ სახელოვნებო სიწმინდეს ინახავს. მათი უმეტესი ნაწილი ეკლესიის ინტერიერში იყო დაცული. მონასტრის იღუმენიას დედა ქეთევანის კურთხევითა და დედა ნინოს დახმარებით გადაწყდა, სამთავროს წმინდა ნინოს ეკლესიის ინტერიერში დაუნჯებული მატერიალური კულტურის ნიმუშები სამუზეუმო სივრცეში გადაგვეტანა. ამ მხრივ გამოფენაზე გადმოვაბრძანეთ რამდენიმე ფერწერული და ვერცხლის პერანგში შეჭედილი ხატი. სიწმინდეებს ექსპოზიციაზე ცალკე სივრცე დაეთმო და კანონიკური თანამიმდევრობით გამოიფინა. ხატები უწმინდესისა და უნეტარესის, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის უშუალო მითითებით, სქელი მინით დაიფარა, რითაც ექსპონატები დაცული აღმოჩნდა.

ფერისცვალების საეკლესიო სივრცედან გამოფენაზე XVIII ს-ის ბოლოსა და XIX ს-ის ვერცხლისა და თითბერის სარიტუალო ჭურჭელი გადმოვაბრძანეთ. მათზე დატანილი დამღები და გრავირებული ქართული წარწერები ფასდაუდებელ საგანძურს წარმოადგენს საქართველოს ისტორიისა და კულტურის კვლევისათვის. სასინჯი ინსპექციის დამღების მიხედვით ირკვევა, რომ გამოფენაზე წარმოდგენილი ვერცხლის ჭურჭელი ცნობილი მანუფაქტურებისა და ხელოსნების ნახელავია.

დედათა მონასტერში შემონახულმა ძველი ავეჯის ნიმუშებმა კიდევ ერთი საექსპოზიციო თემატიკის შესაძლებლობა გაგვიჩინა. აღნიშნული დეტალების არსებობამ საშუალება მოგვცა წარმოგვეჩინა XIX ს-ის სამუშაო კაბინეტის ზოგადი სურათი. მოცემულ ინტერიერში, გარდა ავეჯისა, გამოფენილია საწერი მაგიდის ნაკრები, ქართული ფარდაგი, საეკლესიო წიგნები, ვერცხლისა და სპილენძის ჭურჭელი, ამილახვრების ფოტო სურათები და სხვ.

სივიწროვის გამო, გადავწყვიტეთ დარბაზის შუა ნაწილი საგამოფენო სივრცის ნაწილად გვექცია. ამისთვის დამზადდა ხის ტუმბოები, რომლებზეც საეკლესიო სიწმინდეები – მიტრა და მამა გაბრიელის მიერ მიკვლეული ძელიცხოველის ნაწილი დავასვენეთ (ამჟამად იგი გადასვენებულია ეკლესიის ინტერიერში).

გამოფენაზე ასევე წარმოდგენილია დღევანდელი სამონასტრო ცხოვრების მცირე, მაგრამ მნიშვნელოვანი დეტალი, რომელიც ბ-ნ მალხაზ ამაშუკელის თხოვნით განხორციელდა. 150 წლის შემდეგ პირველად მოხერხდა მონასტრის დედების ჯგუფური ფოტოს შექმნა, რომელმაც პატრიარქის სურათთან ერთად გამოფენის ინტერიერში დაიდო ბინა. მონასტერში მსგავსი შინაარსის ფოტო საუკუნენახევრის წინათაც შექნილა. ისტორიულ ფოტოზე წმიდა ნინო ამილახვარი მონასტრის დედებთან ერთად არის გადაღებული. აღნიშნულ ექსპონატს ვიტრინაში ცენტრალური ადგილი დაეთმო.

მუზეუმში ნივთის სრულფასოვანი დაცვა ერთ-ერთი მთავარი საკითხია. ამ მხრივ საგამოფენო სივრცე აღჭურვილია სათანადო ტექნიკით, რომელიც საშუალებას იძლევა ექსპონატები მაქსიმალურად იყოს დაცული. გამოფენას გააჩნია ნივთებზე ექსპონირებული სპეც-განათება, სიგნალიზაცია, კლიმატ-კონტროლისათვის საჭირო ტექნიკა, კომპიუტერი ინტერნეტის ქსელით, გათბობის სისტემა, ვიდეო თვალთვალის მოწყობილობა და სხვა.

განსაკუთრებულ გარემოს ქმნის გამოფენის დარბაზში დამონტაჟებული მონიტორი, რომლის მეშვეობით დამთვალიერებელს საშუალება ეძლევა გაეცნოს როგორც მონასტრის შესახებ არსებულ ფილმებს, ასევე მამა გაბრიელის მოღვაწეობის ამსახველ დოკუმენტურ კადრებს.

მუზეუმში მოსულ სტუმარს საშუალება ეძლევა ექსკურსიის დროს ქართულ საგალობლებს ეზიაროს, რომელიც დამთვალიერებელს მუსიკალურ ფონად მიუყვება.

შემოქმედებითი ჯგუფისთვის უდიდესი პატივი იყო გამოფენის გახსნის დღეს საქართველოს პატრიარქის ილია-II-ის მუზეუმში მობრძანება. მისი შეფასება და გამოფენის დალოცვა გახდა დასტური იმისა, რომ სამთავროს დედათა მონასტერში მუზეუმის დაარსება შედგა.

დღეისათვის, როდესაც მოსახლეობის ცნობიერების ნეოლიბერალური იდეოლოგიის წვეთ-წვეთობით შევსება მიმდინარეობს, რითაც ქართული საზოგადოების გონებისა და ისტორიის გადაფორმატება ხდება, საეკლესიო-სამონასტრო სივრცეში მსგავსი შინაარსის მუზეუმების შექმნას უდიდესი ეროვნული მნიშვნელობა ენიჭება.

დიდი მოკრძალებითა და მადლიერებით მინდა აღვნიშნო, რომ საეკლესიო მუზეუმის შექმნით იღუმენია დედა ქეთევანმა საყდრის შენების ტოლფასი საქმე ითავა და მამულიშვილური იდეა ბოლომდე აღასრულა.

ნოდარ ახალკაცი,
სამთავროს დედათა მონასტრის
გამოფენის კურატორი

მოკვლეულ საქართველო-ფერეიდნის

ნომადი ბართაია

საქართველოსა და ფერეიდანს შორის შეიძლება გამოიყოს ურთიერთობათა ორი პერიოდი:

I. – XI ს-ის 70-იანი წლებიდან XX ს-ის 90-იან წლებამდე, ანუ საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენამდე.

II. – XX ს-ის 90-იანი წლებიდან დღემდე.

ურთიერთობათა პირველი პერიოდი

იგი შეიძლება დავყოთ სამ ეტაპად:

პირველი ეტაპი – XIX ს-ის 70-იანი წლებიდან XX საუკუნის 20-იან წლებამდე, როცა საქართველოში პირველად გამოჩნდნენ ფერეიდნელები: ათამ ონიკაშვილი (1871), ხუციშვილი და ონიკაშვილი (1896), მაყაშვილი და მისი სიძე ნასრულაჰი (1900-2), სეიფოლა იოსელიანი (1922).

ათამ ონიკაშვილი პირველი ფერეიდნელი იყო, რომელმაც ჩამოიტანა ამბავი ფერეიდნიდან. მანამდე ჩვენ მხოლოდ ინფორმაციის დონეზე თუ ვიცოდით ბუნდოვნად, რომ ფერეიდანში ცხოვრობდნენ შაჰ-აბასის მიერ გადასახლებული ქართველები, მაგალითად: „და რაც-ოდენნი შეიპყრეს, ცოლშვილიანად აჰყარეს და წაასხეს რომელიმე ფერიასა“ („ქართლის ცხოვრება,“ ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, თბ., გვ. 401, 1959).

საქართველოში ფერეიდნელის გამოჩენას დიდი გამოხმაურება მოჰყვა საზოგადოებაში. მალე გამოჩნდა ცნობები ფერეიდნის შესახებ გაზეთ „დროებაში“ (1872, N 13, 1876, N 120), რომლებიც ეყრდნობოდა სპარსეთში მცხოვრებ ქართველთა მონათხრობს.

ასევე აქვე დაიბეჭდა (N186, 187. 1876) სომხურ გაზეთ „არარატიდან“ ამოღებული საინტერესო ცნობები ფერეიდნელთა შესახებ.

ათამ ონიკაშვილი ფერეიდნიდან სამუშოდ გადასულა თავრიზში, სადაც მუშაობა დაუწყია ინგლისელ ინჟინერთან, რომელიც მოხიბლულა მისი გონიერებითა და განსწავლულობით. ათამს უამბნია ინგლისელისთვის თავისი წარმოშობისა და თავისი ხალხის ბედკრული ისტორიის შესახებ. როცა ინგლისელი თავის სამშობლოში ბრუნდებოდა, მას ათამისთვის შეუთავაზებია, რომ თუ სურვილი ექნებოდა, წაიყვანდა ბაქომდე, საიდანაც ის შეძლებდა თავის სამშობლოში ჩასვლას. ათამს სიამოვნებით მიუღია ეს წინადადება.

ასე აღმოჩნდა 1871 წელს პირველი ფერეიდნელი ქართველი საქართველოში.

ათამს საგარეჯოს დეპოში დაუწყია მუშაობა, სადაც მას სახელიც შეუცვლია – ალექსანდრე გამხდარა და ქართველ ქალზე დაქორწინებულა. სამწუხაროდ იგი 1880-იან წლებში ტრაგიკულად გარდაცვლილა.

ათამთან გასაუბრების საფუძველზე დიმიტრი ყიფიანის ვაჟმა ნიკო ყიფიანმა „დროებაში“ გამოაქვეყნა წერილი „ქართველების კოლონია სპარსეთში“, რომლითაც ქართულმა საზოგადოებამ პირველად გაიგო სინამდვილე შაჰ-აბასის მიერ ირანში გადასახლებულ ქართველთა შესახებ (ნიკო ყიფიანი, „ქართველების კოლონია სპარსეთში“, გაზ. „დროება,“ 31. III, თბ., 1872).

ამის მერე ფერეიდნიდან საქართველოში ჩამოვიდნენ ყოლამ ჰუსეინ ონიკაშვილი და ყოლამ-რეზა ხუციშვილი (1907). მათ შვიდი თვე დაჰყვეს საქართველოში, რომელთა ჩამოსვლის მთავარი მიზანი ფერეიდანში ქართული სკოლის დაარსებისთვის ნიადაგის მომზადება იყო, რასაც ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება ყურადღებით მოჰკიდებია და განუხილავს კიდეც საკითხი თანხების მოძიებასთან დაკავშირებით (გაზ. „ისარი“, 24. V, თბ., 1907).

საინტერესოა შემდეგი ცნობა: ყოლამ-ჰუსეინ ონიკაშვილი ისე ყოფილა დაინტერესებული ამ საკითხით, რომ ფერეიდანში დაბრუნებულს, სკოლის დასაარსებლად, საჭირო ფინანსების მოსაგროვებლად საკუთარი სახლი და კარმიდამოც კი გაუყიდია (ჟურნ. „განთიადი“, თბ., 1908, N 5-6.), თუმცა მისი მცდელობა წარუმატებელი აღმოჩნდა.

მნიშვნელოვანი მოვლენა იყო 1922 წელს ფერეიდნიდან საქართველოში ჩამოსვლა ისეთი განათლებული და გავლენიანი პირის – ხანისა, როგორიც სეიფოლა იოსელიანი იყო (1887-1834).

სეიფოლა არამხოლოდ თავისი სურვილით ჩამოსულა საქართველოში, არამედ, როგორც ზ. ჭიჭინაძე წერს, მისთვის დავალება ფერეიდნელ მოსახლეობას ჰქონია მიცემული „მინდობილობა ხელმოწერით, თავიანთი ბეჭდის დასმითა და იმის თხოვნით, რომ ქართველმა ერმა და მთავრობამ ყურადღება მიაქციოს მას“ (გაზ. „ტრიბუნა“, თბ., 1922: 33).

თავდაპირველად სეიფოლას დაუწყია კიდეც ფერეიდნელი ბავშვებისთვის ქართული წერა-კითხვის სწავლება, მაგრამ „სკოლის ზარის ხმამ მათ (მოლებს) თურმე ეკლესია მოაგონათ და სეიფოლას ისლამისაგან განდგომა დასწამეს“ (გიორგი ჭიპაშვილი, „ირანის ქართველი მოსახლეობა“, გვ. 24, თ., 1990).

ამის შემდეგ სეიფოლამ, დიდი ძალისხმევის შედეგად, 1928 წელს ფერეიდანში გახსნა ოთხწლიანი დაწყებითი სკოლა, სადაც ქართულის სწავლაც იყო გათვალისწინებული, მაგრამ, სამწუხაროდ, ქართულის მასწავლებელი ვერ მოძებნილა, რასაც ამბაკო ჭელიძის ეს ცნობაც ადასტურებს: „მთავრობა ქართულად სწავლების წინააღმდეგი არ იყო, ისევე, როგორც არ ეწინააღმდეგებოდა სომხებს, ებრაელებს და ქურთებს. მაგრამ ფერეიდნელ ქართველებში არავინ არის ქართული წერა-კითხვის მცოდნე, რომ მასწავლებლობა შეძლოს“ (ამბაკო ჭელიძე, „ფერეიდნელი ქართველები“, გვ. 136, თბ., 2011).

აქვე აღსანიშნავია, რომ ჩვენი მხარე მიესალმა ფერეიდანში ქართული სკოლის გახსნის იდეას. აი რას წერს ამის შესახებ ავთანდილ ნიკოლეიშვილი: „როგორც პრესაში გამოქვეყნებული მასალებიდან ნათლად ჩანს, საქართველოში ყოფნის პერიოდში სეიფოლას მიმართ ხელისუფლების ცალკეული წარმომადგენლებიც იჩენდნენ განსაკუთრებულ ყურადღებას და ფინანსურ დახმარებასაც უწევდნენ მას. არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ ჩვენი ირანელი სტუმრისადმი საქართველოს მთავრობის ამგვარი დამოკიდებულება არა მარტო ეროვნულ-პატრიოტული ინტერესებით იყოს განპირობებული, არამედ იმითაც, რომ საბჭოთა იმპერიის იმჟამიმიდელი ხელისუფლების ერთ-ერთ საგარეო პოლიტიკურ პრიორიტეტს თავის გავლენის სფეროში სპარსეთის სახელმწიფოს მოქცევაც წარმოადგენდა და ამის მისაღწევად, ეტყობა, ამ ქვეყანაში მცხოვრებ ქართველთა ინტერესების მოსარჩლეობაც იქნა მიჩნეული მიზანშეწონილად“ (ავთანდილ ნიკოლეიშვილი, „ფერეიდანი. ისტორიულ-ფილოლოგიური რეალიები, ქართველოლოგიური ეტიუდები“, III, გვ. 295, თბ., 2018).

მართლაც, „1922 წლის 25 აგვისტოს საქართველოს უმაღლესმა საბჭომ დაავალა განსახკომს მოეწყო ექსპედიცია ირანის ქართულ კოლონიებში რსფსრ-ს წარმომადგენლობის მეშვეობით და წაეღოთ ქართული გაზეთები ლიტერატურასთან ერთად. საქართველოს ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება შესაბამისი დიპლომატიური ღონისძიებები გაეტარებინათ ირანში მცხოვრები ქართველების სასარგებლოდ. ასევე გამოეყო შესაბამისი თანხა სეიფოლა იოსელიანის დასაფინანსებლად“ (ავთანდილ სონღულაშვილი, „ირანში ქართველთა ნაკვალევზე“, გვ. 125, თბ., 2005).

ასეთი დამოკიდებულება ფერეიდნელთა მიმართ მეორე მსოფლიო ომის მერეც გაგრძელდა. უცხოეთთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოებამ ირანში მცხოვრებ ქართველებს 1946 წელს გაუგზავნა მიმართვა, სადაც აღნიშნული იყო:

„ირანში მცხოვრებ ქართველებს.

ძმებო ქართველებო! უცხოეთთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოებამ შეიტყო, რომ თქვენ, მიუხედავად იმისა, რომ საუკუნეების მანძილზე მოწყვეტილი ხართ დედა-სამშობლოს, მაინც არ დაივიწყეთ საყვარელი დედა-ენა და შეინარჩუნეთ საკუთარი ნაციონალური გრძნობანი. ამიტომაც ჩვენი საზოგადოება გიგზავნით თქვენ და თქვენ შვილებს ქართულ ჟურნალ-გაზეთებს, ქართულ წიგნებს ... ძმური სალმით უცხოეთთან კავშირის საქართველოს საზოგადოების თავმჯდომარე ნიკოლოზ მიქავა“ (იქვე. გვ. 130).

თუმცა საქართველოს ხელისუფლებამ მხოლოდ უკან დასაბრუნებელი თანხით დააფინანსა სეიფოლა იოსელიანი (იქვე., გვ. 125).

ურთიერთობათა პირველი პერიოდის პირველ ეტაპზე თუ ათამ ონიკაშვილი იყო პირველი ქართველი, რომელიც ჩამოვიდა ფერეიდნიდან საქართველში (1871), სეიფოლა იოსელიანი აღმოჩნდა ბოლო (1922).

ამის მერე, 1972 წლამდე, ანუ მთელი ნახევარი საუკუნე, ფერეიდნელი არ გამოჩენილა საქართველოში. პირიქით კი იყო რამდენიმე შემთხვევა.

თუ პირველ ეტაპზე ჩვენს მხრივ ოფიციალური დამოკიდებულება ფერეიდნის მიმართ დადებითი იყო, რა გასაკვირია, საზოგადოებაში ინტერესი მის მიმართ დიდი ყოფილიყო. სწორედ ამან განაპირობა ის, რომ 1894 წელს, საქართველოდან ფერეიდანში ჩავიდა ლადო აღნიაშვილი, რომელმაც მრავალმხრივ შეისწავლა იქაურობა და შთაბეჭდილებანი წიგნად გამოაქვეყნა (ლადო აღნიაშვილი, „მოგზაურობა სპარსეთში და იქაური ქართველები“, თბ., 1896).

მართალია საგანგებოდ არ ჩასულა ფერეიდანში, მაგრამ 1916 წელს ირანის ამ რაიონში შემთხვევით მოხვდა რუსეთის ჯარში მომსახურე ქართველი ოფიცერი პავლე ლორთქიფანიძე, რომელიც ასე გადმოსცემს ფერეიდნელთა მაშინდელ განწყობას: „მათ ძალიან უნდოდათ ქართული სკოლების გახსნა. მთხოვდნენ, როგორმე დავხმარებოდი მათ დედა-ენის შოვნაში. მათ მითხრეს, ჩვენი ქალები წიწილასაც რომ დაკარგავენ, მთელი ღამე არ სძინავთ. საქართველომ სამასი ათასი ადამიანი დაკარგა და ნუთუ ჩვენზე აღარ ფიქრობსო. ქართველებს ჩვენ გადაშენებულები ხომ არ ვგონივართო“ (ვახტანგ ონიკაშვილი, „ფერეიდანი“, გვ. 70, თბ., 2004).

საქართველოდან პირველად 1896 წელს ფერეიდანში ჩავიდა ლადო აღნიაშვილი, რომელმაც ძვირფასი მასალა დაგვიტოვა ფერეიდნელთა შესახებ (ლადო აღნიაშვილი, „მოგზაურობა სპარსეთში და იქაური ქართველები“, თბ., 1896).

შემდეგ, 1927 წელს, ფერეიდანი მოინახულა ამბაკო ჭელიძემ, რომელმაც ასევე აღწერა იქაურობა და წიგნად გამოაქვეყნა („ფერეიდნელი ქართველები“, თბ., 2011).

ფერეიდანში არ ჩასულა, მაგრამ თეირანში ჰქონდა კავშირი ფერეიდნელებთან ზურაბ შარაშენიძეს, რომელმაც გამოაქვეყნა წიგნი ფერეიდნელ ქართველებზე („ფერეიდნელი „გურჯები“, თბ., 1979).

1944 წელს ირანში ჩავიდა კინორეჟისორი ირაკლი კანდელაკი და შექმნა დოკუმენტური ფილმი „ფერეიდნელი ქართველები.“

1944 წლის მერე წყდება ურთიერთობა საქართველოსა და ფერეიდანს შორის.

უნდა აღინიშნოს, რომ XX საუკუნის 60-იანი წლებიდან დაიწყო დათბობა საბჭოთა კავშირსა და ირანს შორის, რაც განაპირობა თანამშრომლობამ ეკონომიკის სფეროში. გამომდინარე აქედან, საშუალება მიეცა კინორეჟისორ გურამ პატარაიას 1969 წელს დოკუმენტური ფილმის შესაქმნელად ფერეიდანში ჩასულიყო, რომელსაც თან ახლდნენ: კინოოპერატორი ირაკლი ონოფრიშვილი, კონსულტანტი, ირანისტი მაგალი თოდუა და ჟურნალისტი ლამარა ბოკერია, რასაც მოჰყვა 1970 წელს დოკუმენტური ფილმის – „შორია გურჯისტანამდე“ – გამოჩენა ეკრანზე.

შეიძლება ითქვას, პირველი პერიოდის მეორე ეტაპიც სწორედ აქედან იწყება, რომელსაც გვირგვინად დაედგა 1970-იან წლებში (1972-1980 წ.წ.) ფერეიდნელთა ორ ათეულამდე ოჯახის მუდმივსაცხოვრებლად ჩამოსვლა საქართველოში.

ბევრ ფერეიდნელს ჰქონია, თურმე, საქართველოში საცხოვრებლად ჩამოსვლის დიდი სურვილი, მაგრამ ყველამ ვერ გაუძლო ზეწოლას ირანის მთავრობის მხრიდან.

აი, რას წერს ფერეიდნელი ქართველი ვახტანგ ონიკაშვილი მათ შესახებ თავის წიგნში: „ფერეიდანი“:

„გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კანონმდებლობის თანახმად ყოველი ერის წარმომადგენელს უფლება აქვს თავის სამშობლოში დაბრუნდეს, სწორედ ამ კანონით ისარგებლეს ფერეიდნელების ქართველების რამდენიმე ოჯახმა 1967 წელს და განცხადება შეიტანეს ირანის საგარეო საქმეთა სამინისტროში, რომ მათთვის უფლება მიეცათ საკუთარ სამშობლოში დაბრუნებულიყვნენ, პარალერულად განცხადება ჰქონდათ შეტანილი თეირანში არსებულ საბჭოთა კავშირის საელჩოში და დაიწყო „ბრძოლა“ ირანის მთავრობასა და ამ ხალხს შორის, რომელმაც ხუთ წელიწადს გასტანა, სანამ დადგებოდა ჩვენთვის ნანატრი 1972 წელი. ეს იყო ტანჯვის, წამების, აბუჩად აგდების, ცემის წლები, რამდენი რამ გადახდა 12 ფერეიდნელ ოჯახს, სანამ საქართველოს საზღვრებს მოაღწევდნენ “ („ფერეიდანი“, გვ. 71 თბ., 2004).

შემდგომ წლებში მათ რიცხვს მიემატა 9 ოჯახი. ბოლო ოჯახი ჩამოვიდა 1988 წელს.

ურთიერთობებზე

ურთიერთობათა მეორე პერიოდი

აქვე აღვნიშნავთ, რომ, სხვადასხვა მიზეზების გამო, 9 ოჯახი უკან დაბრუნდა.

მეორე ეტაპი გამოირჩევა ირან-საბჭოთა კავშირს შორის მძაფრი იდეოლოგიური დაპირისპირებით, რაც ხელს უშლიდა საქართველოსა და ფერეიდანს შორის ურთიერთობებს.

ამ პერიოდში ერთი წელი (1970-1971 წ.წ.) სსრკ განათლების სამინისტროს მიერ მივლინებული ვიყავი ისპაჰანის სამშენებლო ცენტრში სპარსული ენის თარჯიმნად. კარგად მახსოვს, თუ რა წნეხის ქვეშ ვიმყოფებოდით საბჭოთა სპეციალისტები ორივე ქვეყნის სპეცსამსახურების მხრიდან.

ვცხოვრობდით ირანში, მაგრამ უფლება არ გვქონდა სამ კაცზე ნაკლებს გაგვევლო ქალაქში, არასამსახურეობრივი კავშირი დაგვემყარებინა ადგილობრივ მოსახლეობასთან, განსაკუთრებით, ჩვენ, ქართველებს, ირანელ ქართველებთან. არ გვქონდა უფლება სამოცი კილომეტრის რადიუსზე მეტით დაგვეტოვებინა ის ადგილი, სადაც ვცხოვრობდით, ფერეიდანი კი ისპაჰანიდან 180 კილომეტრზე მდებარეობს.

პირველი პერიოდის მეორე ეტაპზე იყო შემთხვევები საქართველოდან სამეცნიერო მივლინებით თუ გამოფენებზე ქართველ სპეციალისტთა ჩასვლისა ირანში, მაგრამ ისინი ფერეიდანში ვერ აღწევდნენ.

მერსედესის ორი ახალთახალი ავტობუსი დადგა თბილისის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის წინ, საიდანაც უნდა გავდგომოდით გზას ირანისკენ. ყველანაირ ხარჯებს თავის თავზე ირანის მხარე იღებდა. გზის დასალოცად მოვიდა ელჩი აქბარ ამინიანი მთელი თავისი ამალით. ეტყობოდა, ძალიან ღელავდა. აი, მისი სიტყვები:

„მას მერე, რაც საქართველო დამოუკიდებელი ქვეყანა გახდა, აქედან ირანში ამ სახით ჯგუფის გამგზავრება არის პირველი ნაბიჯი ირან-საქართველოს ახალ კულტურულ ურთიერთობათა ისტორიაში, რომელზედაც დიდად იქნება დამოკიდებული ამ სფეროში მომავალ ურთიერთობათა ბედი,. ეს არ არის ოფიციალური ვიზიტი, არამედ ესაა ირანში მეგობრული სტუმრობა. საინფორმციო საშუალებანი ხშირად არაობიექტურად აშუქებენ ირანში მიმდინარე პროცესებს. ჩვენ გვინდა, თქვენ უშუალოდ ნახოთ და განიცადოთ ჩვენი ქვეყანა. თქვენ საშუალება გექნებათ თვენახევრის განმავლობაში ისპაჰანის უნივერსიტეტში მოუსმინოთ ცნობილ ირანელ პროფესორებს, მოიაროთ სხვადასხვა ქალაქები და რაიონები, დაათვალიეროთ ისტორიული ძეგლები. ხოლო თუ როგორი სტუმართმოყვარენი არიან ირანელები და როგორ პატივს სცემენ ისინი ქართველებს, ამაში თვითონ დარწმუნდებით“ (ნომადი ბართაია, „საქართველო და ირანი, უპრეცედენტო ურთიერთობათა 25 წელი“, გვ. 8, თბ., 2013).

ჩვენ ნამდვილად განცვიფრებულნი დავრჩით ირანელთა სტუმართმოყვარეობითა და ჩვენდამი დამოკიდებულებით.

აქვე აღვნიშნავთ, რომ ელჩი ერთგვრად შეშინებულიც კი ჩანდა იმის გამო, რომ ჩვენ ქრისტიანები მივემგზავრებოდით ისლამურ, თანაც, თეოკრატიულ სახელმწიფოში.

თუმცა, ამ მხრივაც, ყველაფერმა კარგად ჩაიარა.

დიახ, ეს იყო ამ მასშტაბის პირველი არაოფიციალური სტუმრობა საქართველოდან ირანში, რომელმაც ისე მშვიდობიანად ჩაიარა, რომ ფართოდ გაეხსნა გზა მომავალ ურთიერთობებს, განსაკუთრებით კულტურის სფეროში.

დავიხიოთ ცოტა უკან.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბედნიერი შემთხვევა მქონდა, მანამდე 25 წლით ადრე, ერთი წლის განმავლობაში, მემუშავა სპარსული ენის თარჯიმნად ისპაჰანში, ანუ შაჰის ირანში და კარგად ვიცოდი როგორც საბჭოთა, ისე ირანელთა მაშინდელი დამოკიდებულება საქართველოდან ჩასულ და ადგილობრივ ქართველთა მიმართ. ორივე მხრივ აკრძალული გვქონდა ერთმანეთთან ურთიერთობა, განსაკუთრებით ირანელთა მხრივ. ამიტომ ისპაჰანში ჩასულს აზრადაც არ მომსვლია ირანელ ქართველებთან ურთიერთობასა და, მით უფრო, ფერეიდანში ჩასვლაზე ფიქრი.

ერთ მაგალითს მოვიყვან: სამშენებლო-სასწავლო ცენტრში, სადაც მე ვმუშაობდი, ერთხელ, ლექციის მერე, დერეფანში შემომესმა „გამარჯობა!“ ვიცოდი, ქართველი მარტო მე ვიყავი ობიექტზე, ჩავთვალე, იგი მე მეკუთვნოდა და მივუგე - „გაგიმარჯოს!“ თან დავუმატე, რომელი ხარ-მეთქი? მაგრამ პასუხი ვერ მივიღე.

მოკლედ, ერთი წელი ასე ვესალმებოდით ერთმანეთს მე და ის ჩემი სტუდენტი ფერეიდნელი ახალგაზრდა, რომელმაც კარგად იცოდა, თუ რა მოჰყვებოდა ჩვენს პირად გაცნობას.

ისპაჰანის უნივერსიტეტში ჩასვლის პირველსავე დღესვე დაგვირიგეს სასწავლო-სამუშაო პროგრამა და დასძინეს – რაც კი შენიშვნა გექნებათ, მოგვაწოდეთ და პროგრამასაც ისე გადავაკეთებთო.

ვეცნობი საოცრად მრავალფეროვან პროგრამას, რომელიც ლამის მთელ ირანს მოიცავს და თვალებს არ ვუჯერებ: ერთ პუნქტად წერია – ექსკურსია ფერეიდანში.

ამ მოულოდნელი ამბის შესახებ ვაცნობეთ ჩვენს ელჩს ირანში ჯემშიდ გიუნაშვილს, რაც მისთვისაც ასევე მოულოდნელი აღმოჩნდა ეს ამბავი. ელჩმა სიფრთხილე გამოიჩინა და გვირჩია, რომ კარგად დავფიქრებულიყავით და ისე მიგვეღო გადაწყვეტილება. არ იცოდა, როგორი ემოციები მოჰყვებოდა 38-კაციანი ავტობუსის შესვლას ფერეიდანში. მანვე გვირჩია, რომ შეგვედგინა მცირე ჯგუფი, რომელიც, ვითომ, თან გაჰყვებოდა ჩვენთან პრაქტიკაზე მყოფ ფერეიდნელ ქართველ ნათელა მიქელაძეს, თავისიანების მოსანახულებლად. ნათელას ოჯახი 1971 წელს ფერეიდნიდან იყო ჩამოსული საქართველოში.

აი, ასე მოხვდა პირველად ოცამდე კაცი საქართველოდან ფერეიდანში საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის მერე.

საქართველოსა და ფერეიდანს შორის გზა უკვე გახსნილი იყო და ფერეიდანში შესაძლებელი გახდა სხვადასხვა სახით ჩასვლა, ასე მაგალითად:

1998-2017 წლებში ფერეიდანში სამეცნიერო მივლინებით იმყოფებოდნენ ენათმეცნიერები: თედო უთურგაიძე, დარეჯან ჩხუბიანაშვილი (1998): მარინა ბერიძე, ლია ბაკურაძე, რუსუდან რამიშვილი, გიორგი ცოცანიძე, ზაქარია ფურცხვანიძე, ნიკო ნახუცრიშვილი, ელენე ნაპირელი (2008 – 2017 წწ.).

2000 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან სამეცნიერო მივლინებით ფერეიდანში გაემგზავრა მცირე სამეცნიერო ექსპედიცია ეთნოლოგის – ოთარ მიმინოშვილის, მიხეილ როსტომაშვილისა და ჩემი შემადგენლობით.

2012 წელს ფერეიდანში იმყოფებოდა თავისუფალი უნივერსიტეტის სტუდენტური სამეცნიერო ექსპედიცია გიორგი კაციტაძისა და ერეკლე ასტახიშვილის ხელმძღვანელობით, რომლის მასალებიც გამოქვეყნდა წიგნის სახით.

2014 წელს შედგა ექსპედიცია ირანში, რომლის მასალების მიხედვით მომზადდა სამეცნიერო-პოპულარული ხასიათის წიგნი; „ორი გზა ფერეიდნამდე“, რომლის მიხედვითაც 2016 წელს აჭარის ტელევიზიის ჟურნალისტთა ჯგუფმა გადაიღო ხუთნაწილიანი დოკუმენტური ფილმი ფერეიდანზე.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია მეორის ლოცვა-კურთხევით საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში ფერეიდნელი ქართველებისთვის 2011-2016 წლებში დაფუძნდა საზაფხულო სკოლა და ქართული ენისა და საქართველოს ისტორიის შემსწავლელი ერთწლიანი უფასო სასწავლო კურსები (ხელმძღვანელი პროფ. ტარიელ ფუტკარაძე).

აღნიშნული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართველოლოგიის ცენტრის მეოთხე კონფერენცია თემაზე: „ირანის ქართველები: ისტორია და პერსპექტივები“, თბ., 2014 წლის 28-29 მაისი; კონფერენცია მიეძღვნა საქართველოდან ირანში ქართველთა გადასახლების 400 წლისთავს (კონფერენციის ორგანიზატორი ტარიელ ფუტკარაძე);

2015 წელს, მწერალმა და მეცნიერმა გიორგი სოსიაშვილმა, ფერეიდანში მოგზაურობის საფუძველზე, გამოაქვეყნა ნოველების კრებული „ვერცხლის ყვავილები".

გარდა ამისა, საქართველოდან არა ერთმა პირმა მოინახულა ფერეიდანი ოფიციალურად თუ არაოფიციალურად (რევაზ მიშველაძე, ნოდარ კობერიძე, ანზორ შარაშენიძე, მიხეილ ღანიშაშვილი, ნინია ყოჩიშვილი...), რომლებმაც სხვადასხვა სახის პუბლიკაციები მიუძღვნეს ფერეიდნის თემას.

აქვე აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ საქართველოს საპატრიარქომ თბილისში ფერეიდნელებს ცალკე გამოუყო სახლი.

საზოგადობა „ერი და სახელმწიფოს“ (ხელმძღვანელი ზვიად ტომარაძე) ინიციატივით 2017 წელს შეიქმნა პროექტი „ქართული ენისა და სიმღერის შემსწავლელი კურსები ფერეიდნელ ქართველთათვის, სადაც ფერეიდნელები სწავლობდნენ აგრეთვე ქართულ ცეკვებს, ფანდურზე დაკვრასა და ქართულ სამზარეულოს.

ირან-საქართველოს შორის მეგობრული ურთიერთობის დამყარებისა და, განსაკუთრებით სავიზო რეჟიმის მოხსნის მერე, ურთიერთობა საქართველოსა და ფერეიდანს შორის კიდევ უფრო გააქტიურდა.

დღეს ფერეიდანი მეგობრობის ხიდად მოიაზრება ირან-საქართველოს შორის.

ჩვენ ვისაუბრეთ მათზე, რომლებიც იყვნენ ფერეიდანში და დაგვიტოვეს მნიშვნელოვანი მასალები, მაგრამ იყვნენ და არიან ისეთებიც, რომლებიც არ ყოფილან ფერეიდანში, მაგრამ მასზე შექმნეს მნიშვნელოვანი მეცნიერული ნაშრომები, მაგალითად: არნოლდ ჩიქობავა, ზურაბ შარაშენიძე, ავთანდილ სონღულაშვილი, ავთანდილ ნიკოლეიშვილი, გიორგი გოცირიძე...

ამგვარად, საქართველო-ფერეიდნის ურთიერთობებში შეიძლება გამოიყოს ორი მთავარი პერიოდი:

I. – XIX ს-ის 70-იანი წლებიდან, ანუ საქართველოში პირველი ფერეიდნელის გამოჩენიდან (1971 წ.), XX ს-ის 90 წლებამდე, ანუ საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენამდე.

II. – XX ს-ის 90-იანი წლებიდან დღემდე, როცა ირან-საქართველოს მრავალსაუკუნოვან ურთიერთობათა ისტორიაში პირველად დამყარდა ერთმანეთთან თანაბარუფლებიანი სახელმწიფოებრივი კავშირი (1992).

თუ პირველ პერიოდში შეზღუდული იყო ურთიერთობანი, მეორე პერიოდში იგი თავისუფალი გახდა, უფრო მეტიც, ფერეიდანი ირან-საქართველოს შორის გადებული მეგობრობის ხიდის ერთ-ერთი საიმედო ბურჯიც კი არის.



ვიქტორ ჰოვსეფიანი

***

ინახავს ფარულ სიბრძნეს
სიტყვა,
ვით ხილი – კურკას,
ყოველი სიტყვის სიღრმე
უფლის საბრძანისია,
ჭერამს კიდევ ხო, მაგრამ ატამს თუ
მიირთმევენ,
არც გატეხავენ კურკას,
ისე გადაისვრიან.

ყოველ სიტყვაში დამკვიდრებას
ვცდილობ თავისა,
ყოველი სიტყვა სხივია და
ცრემლია ნატვრის,
თქვენ გადააგდებთ კურკას
სადღაც,
მე კი ყოველთვის,
ატმის კურკაში აყვავებულ ხეს
ვხედავ ატმის.

***

შემოდგომა ფერავს
ოქროს ხელით ნისლებს,
თეთრად შეიჭირხლა
აბულის მთა ისევ.

და ჭრიჭინა მღერის,
ბანს აძლევენ მთები,
უკანასკნელ ჰანგით
შორეთს ხატავს ვნებით.

სიმღერაში ტრფობა
იდგამს შარავანდედს,
ეს ღვთიური ჰანგი
დიდ სიყვარულს ბადებს.

მეც მეწვევა ტრფობა,
გული დავაჯერე,
ოღონდ მოვიდეს და
თუნდაც მოვკვდე მერე.

***

ჩვენ ვართ სინათლის
ერთი პეშვი,
ამ სამყაროში
სარკიდან სარკის ანარეკლით,
სხივთა ლაციცით,
თუ რისთვის გავჩნდით,
სად ვიყავით,
ან სად მივდივართ,
ჩვენ რას გავიგებთ,
როცა თავად ღმერთმაც
არ იცის.

იმა ქვეყნიდან ამა ქვეყნის
მოვდევთ
მდინარეს,
აქ მოვკვდებით და სხვა
სოფელში
დავიბადებით,
მზე შეისრუტავს ეულ სულის სხივს და
ანარეკლს,
ნარნარ ფერებით იციმციმებს
ჩვენი ლანდები.

ვინ სთქვა, სიკვდილის
არსებობა,
მაშ დაბადებაც
არის სიცრუე, შემოსილი
მკრთალი ნისლებით,
ახალი ძალის ძახილია
გარდაცვალება,
ჩვენ არ მოვკვდებით,
სხვა სიცოცხლედ
გარდავიცვლებით.

***

ზეცაში ყველას საკუთარი
მნათობი აქვს და
ბედის ვარსკვლავი ოდეს
მრუმე ციდან ეცემა,
ვიღაცა ტოვებს სიზმარ-
ცხადის არეულ ბილიკს
და ძილგამტყდარი მარადიულ ძილს მი-
ეცემა.

თურმე ვარსკვლავი ანარეკლი
ყოფილა ყოფის,
ვარსკვლავი ძალზე დიდიაო,
ასტროლოგებმა,
თუ ანარეკლი გვეჩვენება
დიდად, ვარსკვლავის
როგორ შეიცნოს სიდიადე
კაცის გონებამ.

დაუვიწყარი

ახალი წამის სიღრმიდან
სიყვარულის წვეთავს დარდი,
ვერცხლის ფერ ჭირხლს
აირეკლავს
ბუჩქები და ეკალ-ბარდი.
ახალი საათებიდან
ქრის ისრების ქარიშხალი,
ნატვრის მკერდზე იწყებს
ციმციმს
დანაკარგის ლურჯი ალი.
ახალია თვალთა ელვა
და ცთუნება სიყვარულის,
შენს ძველ სახელს იმეორებს
მაინც ჩემი ბაგეც, გულიც.

***

წახველ და სევდამ
„ნახვამდისო“,
მითხრა და გაქრა.
სევდის გარეშე
სიხარულმა მითხარი,
რა ქნას.
შენ წახველ,
დარდიც გაიყოლე,
აჰყევი სურვილს,
მძიმეა დარდი
უდარდელის და მარტოსულის.
შენ რომ წახვედი,
თვით ცრემლებმაც
მითხრა უარი,
სულ არ უხდება ეულ ღიმილს
ცრემლის ვუალი.
აღარც ცრემლები, აღარც სევდა,
ვდგავარ და გნატრობ,
წავა თვით ნატვრაც, რა
ვქნა ოდეს,
დავრჩები მარტო.

ელეგია

წარმოგიდგენიათ?
სარკეში ამდენჯერ
ჩახედვის მერე,
ამდენი ფოტოს
გადაღების მერე,
წარმოგიდგენიათ,
ჩემ სახეს ვეღარ ვიხსენებ
და, იცით, კარგად არც
მახსოვს,
წარმოგიდგენიათ?

***

ვერ გამიგია ვერაფერი
ჩემი თვალების.
ამქვეყნიური ამაოების გარდა,
ყველაფერს ვხედავდი გუშინ,
დღეს კი მხოლოდ ვჭვრეტ
ამქვეყნიურ ამაოებას....
მაცთუნებელი ქუთუთოებით
დამეხურება მალე თვალები,
გუშინდელი და დღევანდელი
დღის გასაყარზე..

სომხურიდან თარგმნა
მაყვალა გონაშვილმა

ნერგი

ჩავდგი მიწაში, –
ფესვი სიბნელეს მოიძიებს, ყლორტი
სინათლეს,
მე კი ამ ყლორტში
სუროსავით გათელილს ვხედავ
ჩემ ღმერთს, ჩემ უფალს...

***

მშვენიერია ჩანაფიქრი, მაგრამ
ხორცშესხმა
შემზარავია!.. როცა შენივ თავის წინაშე
დაგაყენებენ ხოლმე ხშირად,
ეს უკვე შენთვის!..
დამერწმუნებით,
ეს არ არის ადვილი საქმე...

***

ისააკიანს კითხულობს ნანე,
ჩემი გოგონა...
ქალიშვილს ჩემსას წიგნთან ერთად
ჩასძინებია,
სძინავს ნანეს და ფხიზლობს ნათელი...

***

მრავალთ უმრავლეს სიყალბეებს ამ
სოფლად ვტოვებთ,
ჭეშმარიტი კი ჩვენთან ერთად მიწაში
მიგვაქვს...

***

ამ იაფ ყოფის გადასარჩენად
ჩვენ მრავალ ძვირფას რამეს ვწირავთ...
არა და არა! –
შენდობას სამართალი არ გაიმეტებს!...

***

ჩემი თვალების ვერაფერი გამიგია რა, –
ნათლად ხედავენ ყოველივეს,
გუშინ თუმც ერთი
გამონაკლისის გარდა: ქვეყნის ამაოებას...
დღეს კი ვერაფერს ვერ ხედავენ,
გარდა ერთისა, –
გარდა ქვეყნის ამაოების...
მოტყუებული ჩემი წყვილი წარბი
სულ მალე
კოპებს შეიკრავს, „გუშინდელ და
დღევანდელ თვალებს“
შემოსწყრები, ღრუბელივით
დაასხდებიან...

***

თანაგრძნობა, თანაგრძნობა უპოვართა,
გვირგვინოსანთ – უფრო მეტი
თანაგრძნობა,
თანაგრძნობა, თანაგრძნობა შეუხედავთ,
შეხედულებს – უფრო მეტი თანაგრძნობა,
თანაგრძნობა უილაჯო სუსტებისა,
უფრო მეტი თანაგრძნობა – ძლიერების,
თანაგრძნობა, თანაგრძნობა

ჭკნობა

სად არის ჭკნობა დამალული? –
როგორც კი გაკრთა
ყვავილოვანში მოქნეული ცელის
ლაპლაპი,
ახლად ნათიბებს რაღაც თალხმა
გადაუარა, –
ერთბაშად თითქოს შოშიების გუნდმა
დაფარა...

***

ცრემლის სიყვარულით სატირალს ვეძებ.

***

დაბადების დღეს ვისურვებდი სიკვდილს,
მიწურვილს
ზაფხულისა და შემოდგომის პირველ
შეყრის ჟამს...
მე ჩემი სახლი უკვე ისე მეუცხოება,
გრილი სამყოფი მენატრება ჩემი სამარის!..
მემთვრალეთა,
ხოლო ფხიზელთ – უფრო მეტი
თანაგრძნობა.
თანაგრძნობა, თანაგრძნობა
მიცვალებულთ,
ხოლო ცოცხალთ – უფრო მეტი თანაგრძნობა.

***

არის ისეთი განსაცდელი, ვერსად
წაუხვალ,
წითელასავით შენს სხეულზე თუ
არ იბარტყებს,
იცოცხლე,
საფლავს ერთიანად მოედებიან!..

***

ძველთუძველესი გილგამეშის კითხვისას
სწორი
სიახლე ვპოვე, აღმოჩენის შემოვკარ ზარი,
მიბრძანეთ ერთი, ძველ და ახალ
სიტყვათა შორის
ნეტავ ვინ დასდო, ვინ დასდო ზღვარი?!

***

ჩემი ყოველი ლექსი ჩემი დაწერილია,
ჩემი ყოველი ლექსი ჩემთვის დაწერილია,
ჩემი ყოველი ლექსი ჩემზე დაწერილია,
თუმც,
შენ თუ ფიქრობ:
ჩემი ყოველი ლექსი შენი დაწერილია,
ჩემი ყოველი ლექსი შენთვის
დაწერილია,
ჩემი ყოველი ლექსი შენზე დაწერილია,
გაოცების და დაეჭვების მეტი
რა მრჩება?!
ხოლო თუ მხოლოდ ეს ორი რამ მრჩება,
– ეს ლექსი,
ახალი ლექსი ჩემია... უფლის წყალობით;
ალულუია...

***

ღრმა და ღრმა და ღრმა და ღრმა და
მწუხარ, მწუხარ, მწუხარ, მწუხარ,
სულისშემძვრელ, სულისშემძვრელ,
სიტყვისა და მელოდიის ხმებზე უფრო
მეყურება,
დუმილის ხმა მამაჩემის!..
მეყურება, მაგრამ, ვაგლახ,
არაფერი მესმის... მისი.

***

ერთი რამ ძალზე ჩვეულებრივი!..
რაც ქვეყნის შეცვლის ნაღდ თილისმად
წარმომიდგება:
„რასაც პირისპირ ვეუბნებით,
ზურგსუკანა ვთქვათ,
რასაც ზურგსუკან, – პირისპირ
ვუთხრათ...“

***

გთხოვ, წარმავალო შემოდგომავ,
უკვე გარდასულ
შემოდგომებთან მიმიტანო ეს საწუხარი:
რომ მე ამ სოფელს ჯერაც თითქოს
დღემდე რომ შევრჩი,
შენდობას ვითხოვ,
მომიტევეთ,
ვითხოვ შენდობას.

***

ფოტოებს ჩემსას ჩემს ოთახში როცა
ვუყურებ,
მკვდარი მგონია თავი, ხოლო ჩვენი
ოჯახის
ალბომს რომ ვფურცლავ, უკვე დიდი
ხნის მკვდარი.

***

საბედისწეროა ყოველი ნაბიჯი,
ყოველ ნაბიჯში ბედისწერაა...

***

ყველა ჩვენგანი პოეტი არის,
წამი ყოველი პოეზიაა...
ვერაფერს ვამჩნევ, ქვეყნად თუ რამე
არსებობს გარდა პოეზიისა...

***

სიზმრად დემირჭიპაშიანი ეღია ვნახე:
ხიდიდან თავით გადაეშვა, თავი რომ
ეხსნა! –
ჩავხედე უფსკრულს, ამოჰყავდათ
უცნობებს წყლიდან,
უღმერთოებმა გადარჩენა არ დაანებეს...
ო, თქვე თახსირო ველურებო, ეღიას
დახსნით,
ვატყობ, საკუთარ თავის დახსნა
მოგსურვებიათ!..
და ღამ-ღამობით
არც კი ვიცი ეს მერამდენედ,
სიზმრად იღიმის და იმ ველურ
უცნობებს ვხედავ,
გათენებამდე რომ „წყალობენ“
მის გადარჩენას.

სომხურიდან თარგმნა
გივი შაჰნაზარმა

“დროების” კორესპონდენციები

ხიზაბავრა. 7 მკათათვეს. გავლილად მოგახსენეთ ხერთვისის ციხის ეკკლესიის ზედ წარწერილ ქვის პოვნაზედ; განგებ მივედ და ვნახე, რომელ ვაუბატონსაც წაუღია ის ქვა და სახლის სანათურებზედ მოუხმარია, ორ არშინ ნახევარიდგან ორი ტკაველიღა დამიხვდა ადგილობრივ მამასახლისს რომ აღმოუჩენია. ისევ იმისთვის მიუბარებია და ინახავს ნაწილივით. ერთხანს ასე იქნება, თუ მოიკითხეს, ხომ წარუდგენს ვისიც რიგია, თუ არა და ამასაც გააუჩინარებს!

ნახეთ დროების სიმუხთლე, უბედურება: 200 წლის გამაჰმადიანებულნი არიან მაინც ხერთვისელები აწყვრელის ქალიმანაფენდისაგან, დღემდის ციხეც, ციხის ეკკლესიაც და ყოველი მისი შენობები კრძალვით და დიდის პატივისცემით ინახებოდა, მეტადრე ოსმალოს მფლობელობის დროს წარმოუდგენელის თანაგრძნობით დაცულ იყო ეს ყოველი წინაპართაგან ღირს-სახსოვარი ნაშთი და დღეს კი ქრისტიანთ ხელმწიფობაში ასე უკუღმართად ეპყობოდნენ ამ ჩვენს ძვირფასს სიძველის ნაწილებსა.

ვაი ჩვენი ბრალი! რა ტყუილუბრალოდ ვვამაყობთ და ვმედიდურობთ ჩვენს გმირთ წინაპართ სიძლიერესა, მეფეების სიმძლავრესა და ჩვენს ქართველობაზედ, როცა ჩვენ დღეს დაცემულნი ვართ სულითაც, გულითაც, მოქმედებითაც. რას გვარგია ან რას მოგვეფქვილება ცარიელ-ტარიელი ტრაბახი, ბაქი-ბუქი და დაქადნება? რაც შეგვიძლიან და ხელიდგან გამოგვივა სიადვილით საქმის გარიგება, გაკეთება, იმას არ ვკადრულობთ, ხელს არ ვკიდებთ და მაღლა მთეებზედ თვალი გვიჭირავს, ღრუბლებში დავფრინავთ და საწუთროს ყოველ ქარის ქრიალს გავსდევთ უბრალო ოცნებაებითა, ტუტუცი, ცეტი, ცრია-ფანტია, ტვინ-შერყეულივითა! დიდი სირცხვილი ჩვენთვის, დიდი სირცხვილი!!!

როცა იაზონმა ოქროს მატყლოსანი გაიტაცა კოლხეთიდგან, ადგილობრივი მეფის ოტიას ქალის მედიას მოხერხებული ღონისძიებითა და მასთან მეფის ქალი თვითონ მედიაცა, ამათ მაშინვე უკან დაედევნა მეფე ოტია თავისთან ხლებული კარის კაცებითა! მედიამ თავის მამის სიმხნე-სიძლიერე რომ იცოდა, გაქცეულთ უეჭველად დაგვეწევა, დაგვწვდება, დაგვიჭერსო, – თურმე განგებ, როგორც სწერს კიკერონი, თავის მიცვალებული ძმის კუბო წაიღო თან და გავლილ გზებზედ ჰფანტა აქა-იქ მისი ძვლები! მართლა რა ნახა კოლხიდის მეფემ ოტიამ თავის საყვარელი ძის ძვლები მობნეულ-მოფანტული გზებში, ყველა მარცხი დაივიწყა, მამობრივი ლმობიერებით აღძრულმან: ოქროს-მატყლოსანის გაპარვაცა, თავის-თავის დაჯაბნვაცა, და მიცვალებული საყვარელი შვილის ნაწილ ძვლეებს დაუწყო შეკრება დიდის გულმოდგინებითა; სანამ არ მოჰკრიბა, ვერ მოისვენა. ყველა წავიდწამოვიდა დროებითი სიმუხთლის მიმდევრობითა და ოტია მეფის მამობრივი გონიერება კი სამაგალითოდ დაშთა ქვეყანაზედა...

იმისი არ იყოს, ახლა ჩვენცა, მართალია, მეფობა წაგვივიდა ხელითგან, ღონე-ძალა გამოგვეცალა დღეს ბევრ ტომებზედ, რომელნიც ჩვენს დროებაში ჩვენგან ბევრით უძლურნი იყვნენ, იმათზედ უფრო ბევრით დაბლა ვსდგავართ სწავლითა, ხელოსნობითა და ვაჭრობითა, აღარაფერი აღარ გამოგვდის ხელითგან, სხვათ ხელის შემხედვარნი ვართ: – მაგრამ ამ ძველისძველ შენობების ნაშთთ და ეკკლესიების ზედ-წარწერას რაღას ვემართლებით? ამათ მაინც ხელი მოვჰკიდოთ, შევკრიბოთ ერთად. კმარა ამდენი ჩვენი სიზარმაცე, გამოშტერება და დაუდევრობა; უქმად წოლით გვერდები გვტკივა, ამა-იმის თვალიერება მზერით თვალები და უბრალო ხეტიალით ფეხები! არა გვარგო რა მარტო წითელმა ღვინომ (ცვრიანმა მწვადმა, ლხინ-ნადიმებმა და ქაღალდის თამაშობამ! პირუტყვი ერთხელ რომ ტალახიან გზაში ჩაიფლას, მეორედ რომ ჯოხი ზედ დაანტვრიო, მაინც აღარ ჩაიფლება იმ ტლაპო-ლამში, ჩვენ რაღა დაგვემართა?

ხერთვისის ციხეც ისეთ შენიშნავ კლდეზე დგას, ისეთიც კოხტა მაღალი ქრის შენობა მშვენიერებით, რომ უნებლიეთ კაცის ყურადღებას მიიზიდავს თავისკენა. ერთ მხარედ მარჯვნივ ახალ-ქალაქის წყალი ჩამოუქრის და მეორე მხარეს მარცხნივ მტკვარი. აქეთაც ხიდი აქვს და იქითაც. ორივ წყლები ჩქარი არიან, წყალ დიდობასა მალ-მალ შლიან ხიდებსა, მეტადრე მტკვარი. ამის გამო ოსმალოს მფლობელობის შემდგომ ხერთვის მჯდომ ქართველ კამანდათებს თუ ახალ-ქალაქისას, სამჯერ თუ ოთხჯერ ნება მოუციათ ციხის დაქცევისა მცხოვრებლებისთვის ხიდის ბურჯების გასამაგრებლად! მართლად დაქცეული ნაწილები რომ ნახოთ, შეგებრალებათ, მტერსაც მტრობით თვალი ეტკინება, კამანდათებს კი არც თვალი სტკენიათ და არც არა გული! ნახეთ რიგიან არ სწავლასა და შორს გაუჭვრეტელობას რამდენი ენება და ქცევა მოაქვს ჩვენი ქვეყნისათვის! ვინ იცის დღემდის რავდენი ურიცხვნი ციხე-ნანგრევნი დანგრეულ არიან ამისთანა უგუნურ პირებასაგან და რავდენიც უნდა დაიქცნენ, მინას გაუსწორდნენ უზრუნველობითა! როცა მოთავე მოხელე კაცნი ასრე ცუდათ მოიქცევიან, უსწავლელი გლეხკაცი რაღას დაზოგავს? ხერთვისის ციხის მახლობლად მდგარნი სახლები ორი და სამი წილი სრულ ციხის ეკკლესიის ქვებით, ბაშაღის სასახლეებით და ციხის ნანგრევები ქვებით არის ნაშენი!..

ხერთვისის წოდება ბუნებითი ქართულია (ღერ-თვისი), თქმა არის ორ წყალთა შუა შესული ხმელეთის ღერი, მე დარწმუნებული ვარ, რომ ეს ციხე დიდმა კირიონმა 500 წლის წინ ქრისტეზედ სამესხო საქართველოს კარად რომელსაც ბერძნებმა კიროპოლი უწოდეს და პარსებმა ქურმუხ-შაჰარი. მას ამტკიცებს ხერთვისის თავს მდებარე სოფელის წოდება კვარშა, რომელსაც ერთი და იგივე გამოთქმა აქვს კიროშასთან. ამ კიროპოლს პლუტარხი, დიონ-კარონი და აპპიონი აკროპოლად იხსენიებენ. ესენი ადგილის მდებარეობასაც ნათლად ჰხატვენ, როცა სწერენ რომაელ სარდალს დიდ პომპეს შემოსვლაზედ სამხრეთს; როცა ბოლო დროს დამარცხებულ ჩვენს მირდატ ევპატორს იმერეთისკენ გაქცეულს, ზამთრის სიახლოვისათვის უკან ველარ გაუდგა, სამესხეთოში შემოვიდა; იქ, სადაც არტაგ მეფე ქართველთა შემაგრებულიყო მომხრე და მეტად მოსარჩლე მირდატისა ხერთვისში (აკროპოლს), ჯერ პომპეს ციხე-ქალაქზედ მისვლამდის, მოციქულები დააგება წინ მეფე არტაგმა ძღვენებით სამაშველოდ: ეგებ შეერიგებინა როგორმე და ომ-ბრძოლა აეცილა თავითგან; მაგრამ პომპე მიუხვდა ვერაგობას და დაუყოვნებლად ქალაქზედ მივიდა, შემოადგა აკროპოლს, რომელიც მდებარებდა მტკვრის პირზედ ორს მთათ ქედებთა შუა! ამ დროს



მეფე არტაგი გავიდა ხიდს გაღმა, ხიდი დაუწვა მტერს და შემაგრდა ციხეში. მრავალი ბრძოლის შემდგომ, დიდი პომპე გავიდა გაზაფხულის პირს წყალ-დიდობისა ათი-ათასი ნავტიკებითა და შეესია ქალაქში: რომის სამხედრო ეომა გაცხარებით იქამდის, რომ ციხე-ქალაქი აიღეს და არტაგი მეფე დაიფრინეს ხევობაში, მიჰყვენენ ფეხ-და-ფეხ თავდაღმა ხევობაზედ, მაგრამ მაღლარი ტყით მოსილი ხევობა დიდად უჭირვებდათ საქმესა: თურმე მცხოვრებნი ხის წვეროებზედ და მაღალ სეროებზედ ასულნი წინ უდგებოდნენ შვილდისრითა და შურდულის ქვითა თვალს არ ახელინებდნენ.

კიდევ ხერთვისელები სთხრიან და აქცევენ მალვით ამ ციხეს საუნჯის მიზეზისათვის, რადგან ბაშაღა აჭარელი იყო, ქართველი კაცი, ბევრ სიმდიდრეს იძენდა; თვითან უშვილო იყო და ოსმალების მისაცემად არ ემეტებოდა, ამის გამო მალ-მალ ინახდა ხოლმე იმ ციხეში. გაქცეული თუ ტყვედ დაჭერილი რუსის სალდათები ჰყავდა, იმათ ანახვებდა იმ საუნჯეს და მერმე მოაბამდა ქვებს კისერზედ და წყალში ახრჩობდა, რომ ხვაშიადი გარეთ არ გამოეტანათ...

ამ საუნჯის შეძენის უზომო სურვილმა ერთი სამწუხარო უბედურება მოახდინა ხიზაბავრაში: 15 თიბათვეს გელაშვილები მამა-შვილი, პეტრე და იოსებ, მუშაობდნენ; კედლის შენების დროს მოსკდა უეცრად ნათხრის პირის ზურგი, გადმოავინა ზედ კედელი და ორივე ქვეშ დაიტანა, დახოცა. გვიან შეიტყვეს თურმე, რადგან სოფლის გარედ მოშორებით იყო, შეტყობისავე მისცვივდნენ, გასჭრეს იმოდენა მიწის ზვავი, ამოასხეს, მაგრამ მკვდრები. ამათ მარტოდ-მარტო კედლების შენების მიზეზი ეს ყოფილა.

ამათ გვარში დარჩენილი ყოფილა ამბავი, რომ ერთ ამათ წინაპარს, ასიოდე წლის წინად, განძი შეუნახავს აქ სადღაცაო. გავლილ წელს ესა საბრალო პეტრე გელაშვილი თავის ყანის სამზღვრის ერთ მხარეს გასჭრის, თავისუფლად ახალ კალო საბძელს ჩაიდგამს და წრეულს მეორე მხარეს იმ სამზღვრისა სახლ-ბოსელისთვის ხანდაკს გაიპობს და ოთხკუთხივ კედლებს შემოუვლებს, თავდაპირველად დაწყობისა რაღაც ძველისძველი შენახულება აღმოჩნდება, ქვაბი, ქოთნები, ფეხჩო და მისთანები. ამით ეჭვს აიღებენ იმ ძველ დროს საუნჯის იქ ყოფნაზედ. აღარავის არ წაიკარებენ და მარტო მამა-შვილ თხუნელა თაგვებივით იბუბუნებენ, – რა არის – რაც ამოჩნდეს სრულ ჩვენ დაგვრჩეს, ნათესაობა არა ვინ არ წამოგვედავოსო, ამ განზრახვით და გამდიდრების სურვილით კი უბედურებმა თავები შეაკლეს!

წელს ჯავახეთში კარგი ჭინახული სჩანს; უფრო კარგი იქნებოდა, თუ რომ ამ წვიმიან წელიწადს სიცივეები არ ყოფილიყო: ისე გავიდა თითქმის გაზაფხული. ზაფხულიც აგერ ნახევრად მიდის, რომ ერთ მეორისაგან არ გარჩეულან. მარტში უფრო სითბო იყო მაისისაგან, აპრილი და თიბათვე დიდი ნაწილი ერთმანეთს ჰგავდნენ.

გაზაფხულის პირად შემოუტია ყვავილმა, 30-იოდე ყმაწვილი იმსხვერპლა ხიზაბავრაში, ასე სხვაგანაც. საოფლე-სახადიც იყო ალაგ-ალაგ სოფლებში. რაც ყვავილმა დააკლო, იმან შეათავა. მას მერმედ გაჩნდა შინაური ფრინველის ჭირი ყოველგან; ამას მოჰყვა ცხვრის ჭირი და ამას რა მოჰყვება ის ვინ იცის?

ამისი მიზეზი სოფლური კარმიდამოს უწმინდურება და ბინძური ცხოვრება არის. დიდი ნაწილი ჩვენებური ერისა ზამთარ-ზაფხულს ბოსლებში ცხოვრობენ პირუტყვებთან ერთად: ზამთარში მისთვის, რომ ცეცხლი-შეშა ცოტა მოგვინდებაო და ზაფხულობით იმისთვის, რომ სხვა ცალკე საზაფხულო სახლი არა აქვსთ: საქონლის ნეხვი კარწინ უყრიათ, სხვა ნაგავი, ნეშო, სიბინძურე ზედ მეტი და, რა საკვირველია, ყოველ ნაირი ჭირი და სნეულება დაბუდვილი იქმნება ჩვენს სოფლებში!..

რამდენი ხანია ცდილობს ადმინისტრაცია ნეხვ-ნაკელი სახლ სამყოფებს მოაშორებინოს, სოფლებ გარე დააყრევინოს და სისრულეში ვერ მოუყვანიათ! განა აქვსთ ადგილი ყველა სოფლებს, რომ აასრულებინონ ესრეთ წესიერება? არა მგონია ზოგიერთი სოფელი იმისთანა შევიწროებაშია უმიწა-წყლოდ, რომ ბევრს ლამის გაჭირვებისგან უნდათ თავიანთ სადგომი სახლის ერდო ბანებიც კი მოხნან ყანად, რომ სარჩო სამყოფი დაიგულონ! თუნდა მაგალითად ავიღოთ სოფ. ხიზაბავრა: 40 მოსახლის მიწა-წყალი არც კი არის აქ და სცხოვრობს ას მოსახლეზედ მეტი მცხოვრებელი თავიანთ მარჩენი ცხვარ-ძროხითა!

უარესს მდგომარეობაში არიან ბარის სოფელთა უმრავლეს ნაწილი; მეტადრე საცა საბატონოა, თავისუფლად ცხოვრება სულ არ შეიძლება. ჩვენი მესხ-ქართველობა სიპის ქვისა უძრავი კლდის ნატეხარია, რომ ამდენ ჭირ ნაღველს, შევიწროებას უძლებს!

ძლიერ კარგი და სასარგებლო საქმე იქმნება, მისცემდეს ამ გვარ გაჭირვებულ მცხოვრებთ მთავრობა გარდასახლების ნებას ოსმალოში გარდასულ მცხოვრებთ ნასოფლარებში, რომ ცოტა არის მაინც ახლა სული მოითქვან, მოაბრუნონ; მასთან უბრძანებდეს ადგილობრივ ადმინისტრაციას მისცენ შემწეობა ყოველ რიგად ხალხსა, რომ გაჭირვება არა გამოიაროონ-რა ერთის მხრიდგან მეორე მხარედ გარდასვლ-გარდმოსვლაში უეჭველად სხვაგან გარდასახლების მსურველნი დიდი ნაწილი გლახაკნი და უქონელნი იქმნებიან; ამათ დიდი შემწეობა უნდა. ჯერ იმ დარაჯაზედ არ არის ჩვენი განათლებული თაობა, რომ ევროპიელებივით სამადლო წრე შეადგინონ ამ საქმისთვის, რომ ჩვენს მამა-პაპათ და ჩვენს გადაკარგულ მოძმეთ მიწა წყალზედ ისევ ჩვენივე ძმანი დაასახლონ.

ჩვენდა სამწუხაროდ, სანამ ჩვენმა ქართველ მესხობამ ის მოიფიქროს, ამ გვარს ღონის-ძიებით თავს-და-თავს სახლობას რამე უშველოს, მანამდის ბერძნები და მაწანწალა სომეხ-ქურთები ნასოფალრებს იჭერენ ქრთამშესყიდვითა; რომელიც რომელს მოასწრებს, საქმე იმისია...

ვინმე მესხი,
„დროება“, 1881 წელი, N97-98



ზაალ ბოსკოვილი - 70

თავმდაბლობით გამორჩეული მწერალი

ჩვენო ზაალ, ჩვენო დიდებულო და ერთგულო მეგობარო,

დღიდან ჩვენი გაცნობისა, რომელიც უკვე ორ ათეულ წელზე მეტს ითვლის, ხშირად მიფიქრია და მიკვირს, – იმ ადამიანებს შორის, რომელსაც მე ვიცნობ და ისინი არც თუ ისე ცოტანი არიან, როგორ შეინარჩუნეთ ამ ხნის მანძილზე ასეთი სიდინჯე, თავმდაბლობა, გაწონასწორებულობა, ყველასადმი პატივისცემის განწყობა.

თქვენ დიდი ხანია ქართველ მწერალთა ცხოვრებით ცხოვრობთ და მათი საფიქრალი გაგითავისებიათ, ყველა კარგად გრძნობს და ხედავს, როგორი გულღია, ალალი, მზრუნველი ადამიანი ბრძანდებით და მარადის იმის ცდაში ხართ, მათდამი პატივისცემა გულის სითბოთი გამოხატოთ და დაუმადლებელად მიაგოთ პატივისცემა გარშემომყოფელთ.

უსაზღვროდ თბილია ქართველ შემოქმედთა მიმართ თქვენ მიერ მომზადებული ის ლამაზი წერილები, რომელსაც ერთგული მკითხველები ხშირად ეცნობიან ქართულ სალიტერატურო ჟურნალ-გაზეთებში, მაგრამ თქვენ, უპირველესად, დიდებული მწერალი, პუბლიცისტი, მენეჯერი და შეუდარებელი მეგობარი ბრძანდებით. ამიტომაც არის, რომ 70 წლის იუბილეს ქართველი მწერლები წრფელი გულით და დიდი სიყვარულით გილოცავენ.

ვინც ოდნავ მაინც იცნობს ქართულ მწერლობას, ალბათ, დამეთანხმება, რომ თქვენ ერთ-ერთ მამოძრავებელ ძალას წარმოადგენთ საქართველოს მწერალთა კავშირში და ყოველთვის ფუტკარივით შრომობთ, რათა ქართულ მწერლობას დაუბრუნდეს ის ღირსება, ავტორიტეტი, დაფასება, პატივისცემა, რომელიც შემოქმედებით კავშირებს შორის ყოველთვის თვალშისაცემი და ყველაზე გამორჩეული იყო.

სწორედ ამ დიდი სიყვარულით, პატივისცემით ვუერთდები თქვენს თაყვანისმცემლებს და სამცხე-ჯავახეთის შემოქმედებითი ინტელიგენციის სახელით მოგილოცავთ, ჩვენო ზაალ, ღირსეულ იუბილეს.

ღმერთმა ქვეყნის სამსახურში ყოფნა კიდევ დიდხანს შეგაძლებინოთ, რათა თქვენი ლამაზი შემოქმედებით, კაცურკაცობით, უდრტუნველად გაგეწიოთ ის მძიმე ჭაპანი, რაც დიდებულ მწერალს და ქართული მწერლობის მოჭირნახულეს დაგაკისრა განგებამ.

მიიღეთ ჩვენი გულწრფელი მილოცვა. ღმერთმა ჯანმრთელობა, ტანმრთელობა და შემოქმედებითი წვა ნუ მოგაკლოთ, ზაალ ბატონო!

ავთანდილ ბერიძე

ქართული სიმღერების კვალდაკვალ

მესხეთი IX-XII საუკუნეებში განათლებისა და კულტურის ერთ-ერთ მძლავრ ცენტრს წარმოადგენდა. IX საუკუნიდან აქ ფართოდ გაიშალა ჰიმნოგრაფთა მოღვაწეობა. შეიქმნა საგალობელთა უმნიშვნელოვანესი კრებულები, რომლებიც შეიცავდნენ როგორც ორიგინალებს, ისე თარგმანებს. ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს X (978-1001) საუკუნეში მესხეთში შექმნილი ქართული ჰაგიოგრაფიის დიდებული ძეგლი, როგორიცაა ცნობილი ჰიმნოგრაფის მიქაელ მოდრეკილის საგალობელთა კრებული. მასში თავმოყრილია ადრეული საუკუნეების ჰიმნოგრაფიული პოეზიის ნიმუშები, მათ შორის, გამოჩენილი ქართველი ჰიმნოგრაფების იოანე მტბევარის, იოანე მინჩხის, კურდანაის, მიქელ მოდრეკილის და სხვ.

სურათზე: ლაზარე მჭედლიშვილი, არჩილ ჯვარიძე და ვალერიან მაღრაძე

დიდმა კულტურულმა, ეკონომიკურმა წინსვლამ თანდათან მთელი საქართველო მოიცვა და თავის კულმინაციას XII საუკუნეში მიაღწია. ამ პერიოდში შეიქმნა ლიტერატურის, არქიტექტურის, ჭედური ხელოვნების და სხვ. დარგების დღემდე მოღწეული უნიკალური ძეგლების: ვარძიის, თმოგვის, ხერთვისის, აწყურის და სხვა ციხეები, ოქრომჭედლობისა და მინანქრის შეუდარებელი ნიმუშები.

სამხრეთ საქართველოში მოღვაწეობდნენ გამოჩენილი ქართველი მწერლები, მუსიკოსები, პოლიტიკოსები, საეკლესიო და საზოგადო მოღვაწეები. ოსმალეთის თითქმის სამასწლოვანმა ბატონობამ დაკნინებამდე და გადაგვარებამდე მიიყვანა მესხეთი. დავიწყებას მიეცა საგუნდო ხელოვნება, დაიკარგა მრავალი ხალხური სიმღერა, აქა-იქ შემორჩენილი სიმღერები კი განადგურების საფრთხის წინაშე აღმოჩნდნენ. XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან, ეროვნული თვითგამორკვევის პირობებში, განსაკუთრებული ინტერესი გაჩნდა საქართველოს ამ უძველესი მხარის მიმართ. ეს პროცესი შეეხო საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა სფეროს, მათ შორის ხალხურ შემოქმედებას, კერძოდ, ფოლკლორს.

მესხეთში ძირითადად შემორჩენილია ერთხმიანი სიმღერები, სადაც აშკარად შეიმჩნევა აღმოსავლური მუსიკის დიდი გავლენა, მისი მრავალხმიანობის შესახებ კი შემორჩენილია მხოლოდ ცნობები, რომელთა მიხედვით მესხეთში არსებობდა ორხმიანი და სამხმიანი სიმღერები, რომელთაგან ყველაზე გავრცელებულია „სუფრული“, „საქორწინო“, „ისტორიული“, „საფერხულო“ და „შრომის“ სიმღერები.

მესხური სიმღერების შეგროვებისა და გადარჩენის პირველი ცდა ეკუთვნის ამ მხარის მკვიდრს ივანე გვარამაძეს (1831-1912), რომელიც ცნობილია „ვინმე მესხის“ ფსევდონიმით. იგი თავისი დროის დიდად განათლებული, მრავალმხრივი მოღვაწე იყო. 70-იანი წლებიდან მოყოლებული, მრავალ სტატიასა და ნარკვევს აქვეყნებდა იმ დროის ცნობილ პერიოდულ გამოცემებში. მან ბევრი სიმღერის ტექსტი ჩაწერა, მათ შორის დარბაზისეული ლექსები, რომლებიც თავისი შეხედულებებისამებრ დაახარისხა და სათანადო განმარტებებიც დაურთო. სამწუხაროდ, იგი მუსიკოსი არ იყო და სიმღერების ნოტების ჩაწერა არ შეეძლო.

მესხეთში პირველი მუსიკალურ-ფოლკლორული ექსპედიცია მოეწყო 1930 წელს, რომლის შემადგენლობაში იყვნენ კომპოზიტორები შალვა მშველიძე (ხელმძღვანელი), შალვა აზმაირფარაშვილი, თეორიტიკოსი ნიკო ჩიგოგიძე, რომლებმაც შეძლეს მხოლოდ ექვსი ერთხმიანი სიმღერის ჩაწერა. 1949 წელს მოეწყო მეორე ექსპედიცია თბილისის კონსერვატორიის ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედების კაბინეტის მიერ გრ. ჩხიკვაძის ხელმძღვანელობით. სამწუხაროდ მაშინ ვერ მოხერხდა ვერცერთი სიმღერის ჩაწერა. აღნიშნული ექსპედიციების შემდეგ, დიდი ხნის მანძილზე, აღარავინ დაინტერესებულა მესხური მუსიკალური ფოლკლორის საფუძვლიანი შესწავლით, თუმცა ეს მისია, მოგვიანებით, საკუთარ თავზე აიღო და 1961 წლიდან მთელი მონდომებით შეუდგა მუშაობას მესხეთის მკვიდრი, კომპოზიტორი ვალერიან მაღრაძე, რომელმაც 1980 წლამდე გამოაქვეყნა დიდძალი მასალა, რომელშიც განხილულია მესხური სიმღერები თითქმის ყველა ასპექტში. ვალერიან მაღრაძესთან ერთად მესხური სიმღერების აღდგენა-გამომზეურებაში აქტიურად მონაწილეობდნენ ლოტბარები შოთა ალთუნაშვილი და ანზორ თამარაშვილი. ექსპედიციის დროს შევხვდით 50-მდე ხანდაზმულ ადამიანს, რომლებიც, უმეტესად, მხოლოდ სიმღერების ფრაგმენტებს გვაწვდიდნენ. საქმეს ისიც ართულებდა, რომ ბევრს აღმოსავლური სიმღერების მანერა გამოუმუშავდა, – ისინი ამ მელოდიებს ამკობდნენ აღმოსავლური ინტონაციებით, საქცევებითა და მელიზმებით, ზოგჯერ ისე ცვლიდნენ, რომ არაქართული სიმღერების შთაბეჭდილებასაც ტოვებდა, ამიტომ საჭირო იყო ცალკეული, ჯერ კიდევ არსებული ფრაგმენტული მასალის თავმოყრა და ამ გზით საერთო სურათის აღდგენა.

ამ პერიოდში ვალერიან მაღრაძემ აღადგინა და დაამუშავა 15 მესხური ხალხური სიმღერა: „მამლი მუხასა“, „ვარძიობა ძიობასა“, „ოქრომჭედელო“, „მესხური ფერხული“, „მრავალჟამიერ“, „გეგუთისა მინდორზედა“, „სახლო, სალხინოდ ნაშენო“, „ოთხი წყარო დის“, „შავლეგო“, „საქორწინო“, „ვინ დალევს მარნეულ ღვინოს“, „დარეჯან, გაგათხვიებენ“, „მზე შინა და მზე გარეთა“, „სამნივე შევიყარენით“, „სამყრელო“; „ავთანდილ გადინადირას“ ერთ-ერთი ვარიანტი მე ჩავწერე ასპინძის რაიონის სოფელ ხიზაბავრაში, სადაც ხანდაზმულებმა სოფელ მუსხის (ახალციხის რაიონი) ხანდაზმულებთან ერთად იმღერეს და საცეკვაო ნომრებიც შეასრულეს. მე და შოთა ალთუნაშვილმა თითქმის ყველა სიმღერა გამოვამზეურეთ. ამჟამად ამ საქმეს უძღვება ლოტბარი ზაზა თამარაშვილი, რომელიც დიდ საქმეს აკეთებს მესხური სიმღერების პოპულარიზაციისათვის როგორც საქართველოში, ასევე უცხოეთშიც. მანვე გამოსცა მესხური სიმღერების კრებული და კომპაქტდისკი.

ვალერიან მაღრაძე ყოველთვის მადლიერებით მოიხსენიებდა ხალხური სიმღერების ადგილობრივ შემსრულებლებს: მიხა, არჩილ და ალექსი ჯვარიძეებს (სოფელი ჭობარეთი), ლაზარე მჭედლიშვილს, ისიდორე ასპანიძეს (სარო), მათე კოპაძეს, ვანო ასპანიძეს (ვალე), დიმიტრი ბერიძეს (ერკოტა), ალექსი ქურდაძეს, თედორე ოქრომელიძეს, ირიდიონ და გიგა მაისურაძეებს (სოფ, მუსხი) და ყველა იმათ, რომლებმაც დღემდე შემოგვინახეს აღნიშნული უნიკალური სასიმღერო მასალები.

ანზორ თამარაშვილი

თურქული გამონათქვამები მესხურ მეტყველებაში

როცა თურქები მოდებულნი იყვნენ სამცხე-ჯავახეთის ტერიტორიას, ყველგან ისმოდა მათი ენა და გამონათქვამები. სამწუხაროდ, ქართველთა ერთი ნაწილი იმითაც ამაყობდა, რომ თურქული ენა იცოდა.

ჩემს ბავშვობაში ხშირად მსმენია თურქული გამონათქვამები, იმათი დიდი ნაწილი თითქოს გარითმულიც იყო:

„ნასილ ქი ანასი ელადა ტანასი“.

ქართულად ასე ითარგმნება:

„როგორიც დედაა, ისეთივე შვილია“.

ნაგულისხმევია როგორც ადამიანი, ისე ცხოველები. „ტანა“ არის ხბო;

„კარდაშ, კარდიშინ იანინდარ,
გეთმია, გეთმია, იადოლაურ,
აქა დოსტ დოსტინ, იანინდან,
გედა, გედა, კარდაშ ოლურ.“

ქართულად იმას ნიშნავს, რომ „ძმა ძმასთან თუ არ მივა და სიახლოვე არ ექნებათ, უცხოვდება და მათ შორის ძმობაც იკარგება, მაგრამ მეგობარი მეგობართან რომ მივა, ძმად გადაიქცევაო“.

„სახლა სამანი, გალარ ზამანი“.

სამანი ნიშნავს ბზეს, ე.ი. „შეინახე ბზე და მაგის დროც დადგებაო“.

„აქსი დვიშმან დოსტ ოლმაზ“.

„ძველი მტერი მეგობარი არ გაგიხდებაო“.

„ქიმსანინ აუზარი, ქიმსაია ყალმაზ“.

ვიღაცის ცუდი საქციელი არავის შერჩებაო;

როცა ადამიანი ძალზე შეწუხებულია და სიცოცხლის იმედი აღარ შესწევს, წუხილს გამოსთქვამს და გამოთქმაში საკუთარ თავსაც გულისხმობს.

„გეთტი ბილბილ, გეთტი გვილ,
იშტარ აღლა, იშტალ გვილ“.

გაფრინდა ბულბული და წავიდა ვარდი, გინდ იტირე და გინდ იცინე;

იმიტომ ამბობენ, რომ მათ ენაში ბევრი გამოთქმა თითქმის გარითმულია: „გვილ“ ვარდსაც ნიშნავს და სიცილსაც (*„ნა გვილიერსინ?“* – რას იცინი?)

მათ აქვთ ისეთი ბგერები, რომლებიც ქართულში არ გვხვდება, ამიტომ ისე არ იწერება ქართულად, როგორც გამოთქვამენ.

„იოლუმ ვარ იოლუმქიმი,
იოლუმ ვარ ზულუმქიმი.“

ეს ასე უნდა გავიგოთ: სიკვდილი არის ჩვეულებრივიც, მაგრამ არის საშინელი;

„ზულუმ“, „ზულუმქინი“, ეს სიტყვა სამცხე-ჯავახეთში უცნობი არაა, ასეა სომხებთანაც.

„ფალან იოლმიშ, ფალან იოლმიშ,
ბირდა დიელარქი, სინამ იოდმიშ.“

სიტყვა *„იოდმიშ“* არ იწერება . „იოდმიშ“ ნიშნავს „მომკვდარა“. პირველი ასო არ გვაქვს.

ეს კი ასე გამოითქმის: ეს მომკვდარა, ის მომკვდარაო და ერთხელაც იტყვიან, რომ სინამი მომკვდარაო. *„სინამ“* საკუთარ თავს გულისხმობს. *„იოლმიშ“* – მომკვდარა პირველი ბგერა ჩვენ არ გვაქვს. გამოვთქვამთ, მაგრამ არ იწერება.

როცა ოჯახში ერთი ვაჟია, თურქები დალოცავენ დედისერთა ვაჟს:

„ბირ ოლსუნ ფიროლსუნ. ფირ ოლსუნ“ .

სიტყვა *„ფირ“*, რას ნიშნავს – არ ვიცი.

ჩემს ბავშვობაში თურქული გამონათქვამები დაზეპირებული ჰქონდა დიდსა თუ პატარას. ქორწილებში ისმოდა შეძახილები, ხშირად კი *„დოსტი, დოსტ ოსლუნ, დვიშმანი ქორ ოლსუნ!“*

მეგობარი მეგობრად დარჩესო და მტერი კი დაბრმავდესო.

ქალი როცა გათხოვდებოდა და შვილები ეყოლებოდა, თურქებმა იცოდნენ ასეთი გამოთქმა: თუ ვაჟი იქნებოდა, იტყოდნენ: *„ოღლან ტაისინა, ყიზ ბიბისინა“*, ე.ი. ვაჟი დედის ძმას ჰგავს და გოგო – მამიდასაო.

ირაკლი ნათენაძე,
ახალქალაქის მუნიციპალიტეტი, სოფ, გოგაშენი, 89 წლის

„წმინდა“ ყადი ეფენდი, რომელიც ფეხს არ ადგამს ჭიანჭველას, რომ ცოდო არ შეემთხვეს

თათრულ ენაზე მცირეთ-შემოკლებით ნაამბობი მიხა ასათიანის მიერ 1934 წელს ქ.ახალციხეში

დიდ დაბაში ცხოვრობდა გამრჯე, გულუბრყვილო ადამიანი, რომელსაც თავისი კეკელა ცოლი უყვარდა: მის ღვთის მოყვარეობისა და გლახაკთა გამკითხველობისა გამო.

მისი ცოლი იყო წარმტაცი, მიმზიდველი იერის, ქმრის სახლში ყოფნის დროს თვალებზე ხილაბანდ ჩამოფარებული საქმობდა. სახეს ფერუმარილით ითითხნიდა-ილამაზებდა. არ გადააცილებდა დროს: დღეში ხუთჯერ მიიღებდა „აბდახს„:[1] დაიბანდა პირს, ხელ-ფეხს და ასე გაწმენდილ-განბანილი ლოცულობდა. კარზე მომდგარ მათხოვარს გაიკითხავდა, ხელცარიელს არ გააბრუნებდა, ნამეტნავად მაშინ, როცა მისი ქმარი სახლში იყო.

ქმარი დარწმუნებული ცოლის სიწმინდეში, შემბრალებლობაში, წმინდანათ მიაჩნდა. ქმარი ხარობდა, ცდილობდა უხვად ჰქონოდა სახლში სარჩოს მარაგი, რასაც ბარაქა არ ჰქონდა, ქაფურივით ქრებოდა. მარაგის უბარაქობას ყარიმა ხსნიდა ცოლის გულკეთილგამკითხაობით. ამიტომ ხშირად უხდებოდა სახლიდან წასვლა შორს სოფლებში, ან სადმე დიდ-დაბაში, რომ ეშრომა, შეეძინა, მოეტანა სახლში შენაძენი. ამ დრომდე სახლში დარჩენილი საწუთრო მარაგი უკვე გამოლეული ხვდებოდა, რომლებიც, მისი ვარაუდით, უფრო დიდხანს უნდა ყოფნოდათ...

უვიც, გულუბრყვილობით გზაში მიმავალ ყარიბას, ფიქრებში გართულს, ხშირად უფიქრია და მისულა იმ დასკვნამდე, რომ მისი ცოლი არის ღვთის მოსავი, ფაქიზი ზნეობისა და ცდილობს: არ დაანახოს სახე უცხო ადამიანს, გულმოწყალეა, გლახაკთა გამკითხავი, მაშასადამე, წმინდანია ჩემი ცოლი, წმინდანი! ამაყობდა გულში და, ამავე დროს, გაივლებდა გულში: ღმერთს ვცოდავ, რომ ჩემ ანგელოზ, წმინდან ცოლთან ვიქმ ცოლ-ქმრულ ვნებით აზვირთულ სქესობრივ კავშირს. მიტომ ღმერთი მსჯის, არ მეძლევა შვილი. მაგრამ, რა ვქნა, ჩემი რა ბრალია?! – იმართლებდა თავს, რომ ადათია, ბუნების მოთხოვნილება და თვით ღვთისგანაა დაწესებული, დაკანონებული!

რა გახედავდა საწუთროს, რომ ერთ-ორ კვირას ეყოფათ, წავიდოდა შორს შრომისათვის, სადაც შეიძენდა, მოიტანდა სახლში. ასე მიმდინარეობდა დრო და ჟამი...

ერთ დღეს, დილით, ცოლს განუცხადა: ხვალ მივალ შორს, უცხო მხარეს, შორეულ ქვეყანაში, დიდი ხნით, სადაც ექვს თვეს, ან ერთ წელიწადს დავრჩები, რომ შევიძინო ბლომათ უჭირველ ცხოვრებისთვის ფული. ამისათვის მომიმზადე სამგზავროთ რაც საჭიროა და გზისთვის საგზალი.

ცოლმა წუწუნი დაიწყო: რა გამაძლებინებს უშენოთ, მაგრე დიდ ხანს? ხომ გადვირიე, ბეჩავი. უშენოდ ყოფნას სიკვდილი მირჩევნია, მაგრე დიდი ხნით დაშორებას ვერ ავიტან, ვერა!

ქმარმა ანუგეშა ცოლი; ფულს მალ-მალ გამოგიგზავნი, ვეცდები, მალე მოვიდე, ჩემო ანგელოზო! მსურს, უფრო უხვ ცხოვრებაში მყავდე, არ განიცადო გაჭირვება!

ცოლმა „ივაგლახა“. თვალთაგან ცრემლები გადმოაფრქვია, გაახსენა ქმარს, რომ უიმისოდ ძნელი გასაძლებია, ძნელი ასატანია. თხოვა ქმარს, ნუ წახვალ, დიდი ხნით, შორს...

მეორე დღისთვის დაუმზადა ქმარს ყველაფერი, რაც საჭირო იყო, ჩაულაგა ხურჯინში. ქმარი გამოეთხოვა, წავიდა...

კაი ხნის სიარულის შემდეგ, ნაშუადღევს, შეამჩნია ყარიბამ ერთ დიდ მინდორზე დაბანაკებული ქარავანი, მიაშურა იქ. მისვლისთანავე იკითხა: სად მიდის ქარავანი. უთხრეს: ქარავანი მიდის შორს, მისირში, დიდ ქალაქში, სადაც ქვეყანას განაგებს „ხალიფა“. შემდეგ მონახა ქარავნის მეთაური, თხოვა მას: ნება მომე, თან გამოვყვე ქარავანს. ამის დასტური მიიღო. ქარავნის მეთაურმა განუცხადა ყარიმას: ამაღამ ვახშმობის დროს აიშლება ქარავანი.

ცოტა ხანს შემდეგ მოვიდა სოვდაგარი ვაჭარი, ვისიც იყო საქონელი, განუცხადა მეთაურს: ამაღამ აქ დარჩეს ქარავანი უსათუოდ! არ მსურს ღამე მგზავრობა. როცა კარგა ინათებს, მაშინ აშალეთ ქარავანი, მზეც ამოვა, დღისით, მზისით იარეთ მშვიდობით.

ეს განკარგულება უსიამოთ დაურჩა ყარიბას. იფიქრა: დილამდის რა გამაძლებინებს? სახლში წავალ, იქ მოვისვენებ. უკეთ ვანუგეშებ ჩემს წმინდან ცოლს, ნაშუაღამევს წამოვალ, აქ ვიქნები ქარავნის წასვლის დროს. კაი ხნის გადაცილებული იყო ვახშმობა, რომ ყარიბა მიუახლოვდა თავის სახლს. გაოცდა! მის სახლის ფანჯრიდან ჩვეულებრივზე უფრო დიდი სინათლე გამოჰნათებდა. თვალები მოიწმინდა, მოიშმუშნა, ლიბრი ხომ არ გადამეკრა თვალებზეო, რომ ამ მოულოდნერლობას ვხედავ? შეეკითხა თავის თავს. ფანჯრიდან შეიხედა ოდაში. კინაღამ გადაირია ნახულით... თვალებდაჭყეტილმა, გონებააფორიაქებულმა უცქირა კაი ხანს. ნახულით თავზარდაცემულს, გული ძალზე აუძგერდა, აუჩქროლდა, ლამის შემოასკდა... გადაირია ნახვით: მის „წმინდან“, „უმანკო“ ცოლს თმის ნაწნავები გამოფენილი აქვს მკერდზე. გული გაღეღილი, ხილაბანდი შუბლის ზემოთ აქვს გადაკრული, სახე მოკალმასებული. ყელმოღერებულს ეშხის ალმური ასდის, გვერდზე უზის უსანდომო ვაჟკაცი, რომელიც მარჯვენა ხელით ელაქუცება კეკელას ძუძუებს, შესტრფიან ერთმანეთს: ქილიკობენ, მოლიზღარობენ, კოცნიან ერთმანეთს... წინ სუფრა აქვთ გაშლილი, ზედ შემწვრები და ხილი აქვთ დალაგებული, სმენ ლალისფერ ღვინოს და კოცნით იმტკბარებენ პირს... ამ მოულოდნელმა გამოაშკარავებამ ელდაცემული ყარიბა ააღელვა, გააბოროტა, ლამის ჭკუიდან შეიშალა... იმავე დროს, გაშტერებული დაუძლურდა, მოდუნდა, მომჩვარდა, თითქოს თავში სთხლიშეს მძიმე ვარიოზი, მით დარეტიანდა, საზრი დაკარგა, ნებისყოფა მოესპო. ამ ყოფაში კაი ხანს უცქირა თვალებდაჭყეტილმა თავის უბედურებას. ნელ-ნელა გამოერკვა. ამოიკვნესა. გუნებაში გაუხმაურდა: აი, რა თვალთმაქცი „ანგელოზი“ ცოლი მყოლია, მე უბედურს, გონებით ბრმას... ჰაი, შეგირცხვეს ნამუსი!.. მიაფურთხა მათ მხარეს... მოშორდა თავის ნაშრომ კერას... შმაგივით მირბის ნალებიანი ქარავნისაკენ, რომ გაჰყვეს, გადაიკარგოს სამუდამჟამოთ...

ქარავანს გაჰყვა მწუხარედ... მიდის და თვალთაგან არ შორდება სახლის სარკმლიდან ნახული სურათი... ჰკვირობს: რათ იყო გულუბრყვილოთ მინდობილი ცოლზე. განა სანდოა? გაახსენდა ხალხური ნათქვამი: ძაღლი სანდო, ქალი უნდო. როგორც მარტის ამინდი ცვალებადია, დაუნდობელი, დაუყრდენი, ქალის სულიერი თვისებაც იგივეა, როგორც მარტის ტაროსი... რას წარმოვიდგენდი, თუ ასე თვალთმაქცი, ფარისეველი და უნამუსო იყო შეჩვენებული! ნუთუ შერჩება, არ დაისჯება ზნეობრით სიბილწისაგან, რომლითაც მწარეთ მომშხამა! არარად მაქცია, ნამუსი გამიწბილა! რატომ არ შევარდი, არ მოვკალ ორივე, ან ერთერთი? რათ მომჩვარდი? – ანაზდეულ მომესპო გამბედაობა. ნების ყოფა... მოულოდნელმა უბედურებამ გამქაჩა... რათ მაძალებს ჩემი ლანდი ორეული, რათ მბორკავს, რათ ჩამძახის გაცლას!.. რათ ჩამჩიჩინებს: „საცა არა სჯობს, გაცლა სჯობსო“!!! აჰა, გავეცალე, მოვშორდი. მერე? რის მაქნისი ვარ, ან ვიქნები?! ჰოი, ულმობელო, უნდო, თვალთმაქცო, ბილწო, ფუჭო წუთისოფელო! რა მურდალი რამ ყოფილხარ.

ნაღვლიან ფიქრებში ჩახვეული ყარიბა ქარავანთან ერთად ჩავიდა დიდ ქალაქში, სადაც ხალიფა განაგებს ქვეყანას. ყარიბა დაბინავდა ქარვასლის ოდაში, რომელსაც სურდა გამოეძებნა შესაფერისი რამ საქმე, რომ გართულიყო და მით გაჰქარვოდა გულიდან კაეშანი. ამ მიზნით ქალაქში დაწანწალებდა...

დილით მზე კარგა ხნის გადაწვერილი იყო, ნახა ქუჩაში მიმავალი, ძვირფას მწვანე მაუდის ტანისამოსში გამოწყობილი გორჯოლო[2] ტანის დიდ ფაშვიანი, სახით ჭორფლიანი, დაჩილული, ჭროღა, წირპლიანი თვალებგადმოკარკლული, მოკლე მკლავებით ყადი ეფენდი.

გაჰკვირდა, გაოცდა, გაშტერდა ნახულით... ოცი-ოცდაათი მოწიფული ვაჟკაცი შეიარაღებული ხანჯლებით, დანებით, დამბაჩებით სარტყელში, ვით იანიჩარნი, რომელთა ნახვა შემზარავ შიშს აგრძნობინებს მნახველს და მათში არეული რამდენიმე არშიყი ქალი შემოსხდომია სუფრას. სუფრის საპატიო ადგილს – თავში ჯის „წმინდანი“ ყადი ეფენდი, შეექცევიან ვახშამს... სმენ სასმისს, ლხინია გაჩაღებული... ქალები შესტრფიან „წმინდან“ ყადი ეფენდის... ამის მნახველი ყარიბა მოშორდა სარკმელ ჭუჭრუტანას, მიაშურა თავის სამალავს, ჩაიცუცქა შიგ... ნაშუაღამევს კაი ხანი გადაცილებული იყო, რომ „წმინდანი“ ყადი ეფენდის სალხინო დარბაზიდან ხამუშ-ხამუშ გამოლაგდნენ ქალები, რომელთაც გამოჰქონდათ სუფრიდან ალაგებული ჭურჭელი, ნარჩენი საჭმლები, მიაქვთ სარდაფებში – თავეთ სამალავში, იქვე რჩებიან. დამყარდა მყუდროება... ფართხალით გამოძვრა ყარიბა სამალავიდან, მიცუცქდა დარბაზის კარებთან. მონახა ჭუჭრუტანა, შაიხედა... თან ყურს უგდებს, ისინი რასაც შიგ ლაპარაკობენ. სმენად გადაიქცა ნასმენით გაკვირვებული... ისევ მიიმალა სამალავში.

გათენდა. მზე მაღლა-მაღლა იწევს, ცხარე სხივებს აფრქვევს... ყადის სახლში მხოლოდ სამიოდე მოსამსახურე მოძრაობს. გაიღვიძა „წმინდა“ ყადმა ეფენდიმ. ადგომისთანავე ლოცვის სამზადისს შეუდგა, რომ არ გადაიცილოს დროს. ხელპირი და ფეხები დაიბანა, მოსამსახურეს შეაწმენდინა სველი ფეხები... ჩაიცვა ჭრელი წინდები, მიბძანდა ხალიჩებდაფენილ, მორთულ სამლოცველო ოთახში... ილოცა! გამობძანდა, მიირთვა ყავა და სამხარი... მას შემდეგ მის კარებთან ქუჩაში შეგროვდა „წმინდა“ ყადის თაყვანისმცემელნი, რომლებიც მიაცილეს მეჯლისამდე.

მზვერავი ყარიბა გამოძვრა სამალავიდან, „წმინდა“ ყადის მიმცილებლებში შეერია, თან გაჰყვა...

რომ მტკიცეთ დარწმუნებულიყო ნახულში, რაც ნახა, განიცადა, რამოდენიმეჯერ დაზვერვა განიმეორა...

იმ ქალაქში გავრცელდა მდიდარ-შეძლებულ მცხოვრებთა სახლების გაქურდვა-ძარცვა. ხალხი ღელავს, ცხადლივ აცხადებს უკმაყოფილებას არსებული მთავრობის მიმართ... საგონებელს მიეცა მთავრობა. დაეძებს ბოროტმომქმედთ, სურს, მიაგნოს კვალს, თვალს ადევნებს ქალაქში მისულ მგზავრებს, მახლობელ ხანში მოსულთ და უსაქმოთ მოხეტიალე ადამიანებს... ასეთების რიცხვში შენიშნეს ყარიბა. გაქაჩეს. წაიყვანეს დიდ საიდუმლო დაწესებულებაში. გამოკითხეს ვინაობა, საიდან არის მოსული, რამდენი ხანია, რა საქმეზეა აქ, რითი და რა საშუალებებით ირჩენს თავს. ბრალს სდებენ, რომ ის მონაწილეა სახლების გაქურდვაში, ავაზაკობაში, დაჟინებით თხოულობენ, გაამხილოს მისი ამხანაგები, წინააღმდეგ შემთხვევაში, დასჯიან, აწამებენ მას... უცნაურ სიამეს გრძნობს ყარიბა, რომ აღმოაჩინა მეორე გარყვნილი „წმინდანი“, როგორიც იყო მისი ცოლი...

რომ გაუჭირვეს და ბრალს სცხებენ ქურდობა-ავაზაკობაში, ყარიბამ განუცხადა: მიმიყვანეთ ხალიფასთან, ან მის ნაზირ-ვეზირებთან, მათ მოვახსენებ ყოველივეს სიმართლეს. ბევრს ეცადნენ მოხელენი, რომ მათთვის მოეხსენებიათ და არ შაეწუხებინათ ნაზირ-ვეზირნი და ხალიფა. ვერას გახდნენ. დაჟინებით მოითხოვდა ყარიბა მათ ნახვას.

მოახსენეს ნაზირ-ვეზირთ, რომლებსაც აღეძრათ ცნობისმოყვარეობა. ბძანეს: მოიყვანეთ ის კაცი!

წარუდგინეს ყარიბა თვით ხალიფას ნაზირ-ვეზირთ.

– გვიამბე, ვინ არიან შენი ამხანაგები? სად მიგაქვთ ნაქურდალი, სად ჰყიდით? – უბძანა ხალიფამ.

– მე არავინ მყავს ამხანაგი და არც ჩამიდენია ქურდობა! სიცრუე მოუხსენებიათ, თქვენთვის, – მოახსენა ყარიბამ.

– არც ვინ ჰქურდავს სახლებს?

– ვიცი, რომ მოგახსენოთ, ვინც არის, არ დაიჯერებთ, მის მაგიერ მევე დამსჯით, – მოახსენა ყარიბამ.

– სთქვი, სთქვი! – ერთბაშად შესძახეს ვეზირებმა.

– ვიდრე ვიტყოდე, სიტყვა მომეცით, რომ ბოლომდე მომისმენთ, ვიდრე დავასრულებდე. დამიჯერებთ თქმულს და სასტიკათ მოექცევით მას, ვინც არის. გაუჩხრეკავთ სახლს, გაჩხრეკვა სახლისა დაამტკიცებს ჩემ თქმულს, გამოააშკარავებს მის ამხანაგ ავაზაკებს, ვინაობას. თუ ტყუილი გამოდგა ჩემი ნაამბობი მცირეთაც, მაშინ დამსაჯეთ, თავი მომკვეთეთ.

ხალიფამ მისცა მტკიცე სიტყვა ყარიბას.

ყარიბამ უამბო მათ თავის წარსული ცხოვრება ცოლთან. მის „ღვთის მოყვარეობა“, გლახაკთა გამკითხაობა, „სიწმინდე“ და გარყვნილობა, ამისი ნახვა, განცდა, ქარავანთან ერთად ამ ქალაქში მოსვლა, ნახვა „წმინდანი“ ყადი ეფენდის, რომლის ნახვისთანავე, გავკვირდი და გადავწყვიტე ჩავდგომოდი კვალში... უამბო დანარჩენი, რაც ნახა და განიცადა ყადის სახლში მიმალულმა და დასძინა: მე მწამს, რომ ყადი ეფენდი გაქნილი, ფარისეველი ავაზაკია და არა წმინდანი.

– რაებს ლაყბობ, შე სალახანავ, რაებს როშავ, წმინდა ყადი ეფენდიზე, მაგ ლაყბობისთვის დაგსჯით! – უთხრა ერთმა ვეზირთაგანმა.

– ეგ სასჯელი, რითაც შენ მემუქრები, დასაწყისშივე მე მოვითხოვე, თუ მტყუანი გამოვდგე, – უთხრა ყარიბამ. – კარგად შეამოწმეთ, თუ მართალი გამოვდგები, მაშინ რაღას იქმთ, რითი გადმიხდით შეურაცხყოფას?!..

ამ სიტყვების შემდეგ ყარიბას მიუახლოვდა თვით ხალიფა, მხარზე ხელი დაადო და ლმობიერი მზერით უთხრა: – შენ მართლა ძნელი საქმე იკისრე. ან სრულად უვიცი და სულელი ხარ, ან ძრიელ გულუბრყვილო პატიოსანი ადამიანი. იქნება ყველა ეგ გეჩვენება ცოლისაგან გაცრუებულ-მოტყუებულს? არ დაივიწყო, რომ ყადი იღებს მონაწილეობას სახელმწიფო საქმეებში, თვით ყადი მოსამართლე მსაჯულია... მისი სახელის შებღალვა სახიფათოა... ადვილი შესაძლებელი არ არის ყადის გაჩხრეკვა, შეურაცხყოფა... გაძლევ ხუთ დღეს, ვადას, ერთი კიდევ შეამოწმე... მანობამდის შენ გადევნებ თვალყურს, შემდეგ მოდი, მომახსენე მართალი. ახლა წადი!

კმაყოფილი გამოვიდა სასახლიდან ყარიბა.

მეორე დღეს სახლში მიმავალ წმ.ყადი ეფენდის მომცილებელ ხალხში გაერია... შეიპარა სახლში, მიიმალა სამალავში. იმ ღამეს, ნაშუაღამევს ნახა: სახლების გამძარცველ ავაზაკებმა მიიტანეს ნაქურდალი, ნაძარცვი, რომელიც ჩაიტანეს სარდაფებში და სამალავ დარნებში. ამ ნახულით ძრიელ გახარებული დარჩა ყარიბა. ფრთხილათ გამოიპარა სამალავიდან, მივიდა თავის ბინაზე. მეორე დღეს წავიდა სასახლეში მოსახსენებლათ. ამ ხნის განმავლობაში ყარიბასთვის მიჩენილმა მეთვალყურეებმა მოახსენეს უფროსებს: წუხელ, გათენების წინ, წმ. ყადი ეფენდის სახლში, ვიღაცებმა – რიცხვით ოცზე მეტმა შეიარაღებულმა, მორიდებით მიიტანეს ზურგზე მოკიდებული ტვირთი, შეიტანეს ყადის სახლში და იქვე დარჩნენ.

ყარიბამ მოითხოვა ნახვა თვით ხალიფასი... ნახა. მოახსენა ნახული წინა ღამის... ამ დროს ხალიფას ეახლა დიდი მოხელე... ცალკე მოახსენა ხალიფას, რაც ენახათ მზვერავებს. ამ ფერ დადასტურდა ყარიბას ყველა ნაამბობი „წმინდა“ ყადის შესახებ.

ხალიფა დარწმუნდა ყარიბას მიერ მოხსენებულ სიმართლეში, გაისტუმრა ყარიბა და უბძანა: – შეგიძლიან ხშირათ მოსვლა და ჩემი ნახვა. მისცა ფირმანი.

ხალიფამ მოახდინა შესაფერი განკარგულება მოსამზადებლათ. ორი დღის შემდეგ ხალიფა ნაზირ-ვეზირების და მცველ ჯარისკაცების თანხლებით, დილით ადრე, სანამ წმ. ყადი ეფენდი გავიდოდა სახლიდან, მივიდნენ სტუმრათ ყადის სახლში, მის სანახავათ.

ამ მოულოდნელი დარბაზობით განცვიფრებულ ყადს გულში მწარეთ განსჭვალა!... დაფაცურდა. მხიარულ სახით, მოფერებით, მისალმებით, სცდილობდა ესიამოვნებინა ხალიფასათვის და მის თანამხლებელთათვის, მაგრამ ემჩნეოდა რაცხა უხერხულება, სმუსვნა, ცმუკვა, არაბუნებრივი მდგომარეობა. პირველ მისალმების შემდეგ, უცებ შემოერტყა ჯარი ყადის სახლს, ყოველ მხრიდან.

რო ნახა ყადმა ჯარის სიმრავლე, სახლის გარშემო, გაფითრდა... შიშმა აიტანა. არ იცოდა, როგორ მოიქცეს, როგორ დაადვრინოს თავი განსაცდელს... ვეზირებმა გაართეს ყადი და განუცხადეს – ხალიფას სურს თქვენი სახლის გეგმაზე ააშენოს ახალი შენობა, ამიტომ სურს დაათვალიეროს სახლის ყონაღი, ოდები და თუ შეიძლება, სახლის ქვეშა სართული, თუ აქვს სახლს.

ვერ გაბედა უარი სახლის დათვალიერებაზე ყადმა...

შეუდგნენ სახლის გაშინჯვას. ნახეს ყველა ყონაღი, ოდებისთვის ყადის მდიდრათ მორთული იშვიათი საცავებით, ქსოვილ-ძოწეულებით მორთული საწოლი ოთახებით, მიაგნეს ჩასავალს ქვესკნეთში. ნახეს, გაკვირვებით შეაცქერდნენ ყადს, რომელსაც გააჟრჟოლა. ამის შემდეგ უბოდიშოთ დაათვალიერეს, გასინჯეს სახლის ქვესკნეთი: სარდაფები, საწყობ-სამალავები, დარნები, რომლებიც ჩასავალის გვერდზე ნახეს, შუა ადგილებში. აქვე განსაკუთრებული სამალავი, პატარა ოდები, სავსე ნაქურდ-ნაძარცვით, სხვადასხვანაირ ბარგით, ავეჯ-საფენით, ფარჩეულით და ათასი სხვა განძეულით. აქვე დააპატიმრეს ყადის თანამზრახველნი – ოცდაათამდე ამხანაგი. ყველა შეიარაღებული და რამდენიმე როსკიპი ქალი... ყველა ესენი ყადთან ერთად შეიძულეს, გაქაჩეს და ყველა „წააბძანეს“ ვირების აბანოში, განსაწმენდათ.

რა გამომჟღავნდა ყადის ავაზაკი ყალთაბანდობა, ქალაქში შეიქმნა დიდი მითქმა-მოთქმა, გაძარცვულ-გაქურდული სახლების პატრონები მიაწყდნენ ყადის სახლს, სადაც გარეთ, ქუჩაში, უკვე გამოლაგებული იყო მოპარულ-ნაქურდ-ნაძარცვი... პატრონებმა იცნეს თავეთი კუთვნილებანი...

ყარიბა დააჯილდოეს, მისცეს კარგი სამსახური. დაბინავდა იმავ ქალაქში.

ჩაიწერა **ნიკო ასათიანმა**,
6 მარტი, **1935** წელი.
ამმ 3133

---

1 აბდახი – სიცოცხლის გზა

2 გორჯოლო – (ჯავახ.) გაუთლელი, უსწორმასწორო ქვა

ჯავახეთი. საღამოს ტბა

***

ერთმა ფაშამ ერთხელ ბრძანება გასცა: მტკივან კბილს ვინც ისე ამომიღებს, რომ ვერ გავიგო ტკივილი, დიდ საჩუქარს მივცემო. გამოვიდა ერთი ურია, ამოუღო უვნებლათ კბილი და მოსთხოვა ფაშას ჯილდო. ფაშამ ვერ გაიმეტა დიდი ჯილდოს გაცემა, რასაც ურია მოითხოვდა, ასობით ოქროს. დაუწერა ქაღალდი და მისცა ურიას ხელში, – ვიცი, შენ სამოთხეში წასვლა გინდა და ამ ბილეთით მიგიღებენო.

ურიამ ის ბილეთი გაჰყიდა, როგორც ფაშის ნაწერი. მყიდველს ეგონა, მართლაც სამოთხეში წავალო და დიდი ფული გაიმეტა მასში.

შეიტყო ფაშამ ურიას ამბავი, დაიბარა და უთხრა: რისთვის გაყიდე ბილეთი და სამოთხეში არ წახველიო?

ურიამ მოახსენა: – ფაშავ, მე სამოთხეში ვიყავი, იმ ბილეთით მიმიღეს, მარა, წინა სკამზე რო დავჯექი, იქ თათარი იყო და მეორე სკამზე გადმომსვაო, იქაც ქრისტიანი იჯდა, იმან, სულაც, კარში გამომაგდო და რო აღარ გამოდგა, გავყიდე, მერეო.

ფაშას ძალიან გაუკვირდა მისი ბილეთის სიკარგე, ეგონა, მართლაც ჩემი ნაწერით შეიძლება სამოთხეში შესვლაო და დიდის სიხარულით ურია ძალიან დაასაჩუქრა და გაისტუმრა.

ჩაიწერა გიორგი გოგოლაძემ, 1938 წელს, ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. ამმ ეN4442

ჩვენი გვარის ისტორიისათვის

ჩვენი მამა-პაპა იმერლები ყოფილან სოფელ მარელისიდან. ჩვენს უფროს (ე.ი.წინაპარს) პირველი ცოლისაგან დარჩენია სამი ვაჟი, მეორე რომ მოიყვანა (ცოლი) იმისგანაც სამი ვაჟი შესძენია. ბატონისაგან ძალიან რომ ყოფილა შეწუხებული, ამდგარა და ცოლ-შვილით ქართლის სოფელ სამწერისში გადასულა. აქ იგი გარდაცვლილა, ცოლს კი თავისი სამი შვილი ისევ უკან, მარელისში ჩაუყვანია. გერები კი სამწერისში გაუშვია. იქაც ბატონთან ყოფილან. ესენი უკვე დავაშკაცებულან.

ერთხელ, ერთ წელიწადს, ქართლში ხორველა (ხოლერა) გაჩენილა და სოფლელები და მათ შორის ეს სამი ძმანიც სამწერის ზემოთ ტყეში გახიზნულან. ერთხელაც ამ სამი ძმიდან ორი ძმა და მათთან ერთად სხვანიც სანადიროდ წავლენ, ნადირობაში იმტენს ივლიან, რომ მოადგებიან ბაკურიანის „პერეველს“ (ულელტეხილს), ამოვლენ ზედა, მაშინ იქაურობა სულ ტყე ყოფილა და გადმოვლენ ჯავახეთს, დაინახავენ ბარალეთს (ჩვენ სოფელს), რომ შუაზე წყალი ჩაუდის და უკნიდანაც მთაგორებზე სულ ტყე ყოფილა. დაუნახავთ ჩვენი სოფელი და უთქვამთ: აი რა კარგი ადგილია, ჩავიდეთ და იქ დავბინავდეთ, მაინც ბატონს მოვცილდებითო.

ამდგარან და იქიდან ჩამოსულან, მაგრამ სოფლისთვის ვერ მიუგნიათ ტყის გამო. სამჯერ ჩამოსულან და სამჯერვე აბრუნებულან. მერე საყარაულოზე ასულან და იქიდან დაუნახამთ, რომ სოფლის საყდარი წყლის პირად ყოფილა. დაჰყოლიან წყლის პირს და ჩამოსულან ბარალეთს. იმ დროს აქ შვიდი კომლი თათარი (თურქი) ყოფილა და მათი ფაშა. ფაშასთვის უთხოვნიათ ნება აქ ცხოვრებისა, იმასაც უთქვამს, გადასახადი გადიხადეთ და იცხოვრეთო.

დაუწყვიათ იმათაც ცხოვრება. ერთი ძმა კი სამწერილში დარჩენილა, ბატონს ბევრი უძებნია, მაგრამ სად იშოვნიდა, მაშინ აქაურობა თათრებს სჭერიათ. შვიდი წელიწადი ყოფილან თათრების ხელში.

ჩაიწერა გიორგი გოგოლაძემ. ნაამბობი ბიძამისის ბასილ გოგოლაძის მიერ, 73 წლის, 1940 წელი. ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. ამმ ეN4442

ბატონი და მისი მოჯამაგირე

მტკვრის ხეობაში ერთ შეძლებულს ჯავახს დიდებული ნადიმი ჰქონია გამართული, სადაც უდიდებულესი სტუმრები ჰყოლია დაპატიჟებული. მერიქიფეთ მასპინძელს თავისი მოჯამაგირე ჰყოლია, რომელიც ღირსეულათ ემსახურებოდა თურმე წვეულთა.

– ღვინო მიართვით ჩემს მერიქიფეს, დაგვლოცოსო, – წამოიძახა ერთ-ერთმა დიდებულთაგანმა.

– მოჯამაგირეს ღვინო, მე რომ ვსვამ, ისეც უჯდებაო, – დაამატა სტუმრის სიტყვას მასპინძელმა.

თავმომწონე მერიქიფეს ძალიან ეწყინა თავის ბატონის ასეთი აგდებული სიტყვები. რა ისადილეს, ბატონმა მოჯამაგირე ვენახის მოსარწყავათ გაგზავნა.

მოჯამაგირემ რომ ერთი დარიჯი მორწყო, მეორე დარიჯი მოურწყავი გაუშვა; მესამე - მოერწყო, მეოთხე – გაეშვა და ასე მორჩენილიყო თავის საქმეს.

საღამო ხანს, იმისი ბატონი თავისი სტუმრებით მისულიყო ვენახის სანახავათა და რომ აჭრელებულათ ნახა მორწყული დარიჯები, გასწყრა ბატონი და ჰკითხა:

– ეს რა თავი აგიგდია, ბიჭო და არ მოგირწყია მთელი დარიჯები, რას ნიშნავს, გამაგებინე ჩქარა!

– ძალიან კარგი მორწყული გახლავთ, ბატონო, პირველი მორწყული დარიჯისა მეორე მოურწყავ დარიჯებს მოუხდებაო, – მიუგო თავაზიანად მოჯამაგირემ.

– როგორ გაუჯდება?! – გაკვირვებით ეკითხება ბატონი.

– ისე, როგორც თქვენ სვამთ ღვინოს და მე მიჯდებაო! – მიუგო ყოჩაღათ გულნადები მოჯამაგირემ.

– ხა, ხა, ხა! – გაიცინეს ყველა სტუმარმა, რომელთაც მოეწონათ თავიანთი მერიქიფის ცოცხლად მოსწრებული სიტყვა და თვითონვე მიემხრნენ, რათა ჩქარა მორწყობილიყო ვენახი, რომ მალე დაბრუნებულიყვნენ მასპინძლისას და კარგათ გამოეთროთ იგი დასაჯილდოებლად.

„ჯვარი ვაზისა“, 1906 წელი, N18

როგორ უკეთებიათ სიშპინობაში ერბო-ყველი

ორმოცს (საროშია) გაღმა, მტკვრის პირზე (საკვირიკო მთის ძირში), ძველთაგან სოფ. მოქცევა ყოფილა, დღეს კი ნანგრევებიც ძლივს მოჩანს იქა. როდესაც ლეკები აწუხებდნენ მკვიდრთა, სხვათა შორის, მოქცევველებსაცა – თავიანთი საქონელი იალათ, საკვირიკო, იმავ მთის წვერზე ჰყოლიათ, სამიოდე ვერსის მოშორებითა და რადგანაც თვით იალაღზედაც საშიში ყოფილა ნაწველის ღამით დამუშავება ერბო ყველისთვის, ამიტომაც წვერიდან, მთის ძირამდის, მიწაში ჩამარხული მილებით, უდენიათ რძე და ასე უმზადებიათ მოქცევაში მთის წვერზე მონაწველი რძე. ასე ათი წლის განმავლობაში ამზადებდნენ თურმე. ბოლოს, როგორღაც მომხდარა, რომ მილიდგან რძეში უსახელო (გველი) გამოყოლია, ამის ზიზღით მოუსპიათ იმ მილში რძის დენა და შემდეგ კი სხვა მოსაზრებას დასდგომიან მოქცევველები.

ჯვარი ვაზისა, 1906 წელი, N18

მტკვრის ხეობა

ძველათ მტკვრის ხეობა თვით საკვირიკო მთის ფერდობებითურთ დიდი და ხშირი ტყით და ვენახებით მოცული ყოფილა; დღეს კი, ისე გადატიტვლებულია, რომ ოდნავ ბალახსაც ძლივს შენიშნავთ და აქა-იქ მცირე ბაღიან სოფლებსა.

ეს ტყე, ვენახები ლეკებს გადაუწვავთ, რის გამო ტყის წყარო-ნაკადულები დამშრალა უტყეობით და ამიტომ გადახრუკულია უწყლოობით ამოდენა ადგილები და უდაბნოს დამსგავსებია.

ზემო მუხლში ხსენებულ საკვირიკო მთის ფერდებში, სოფ. დადეშში, ისეთი ჯიშის ყურძენი სცოდნია, რომ თვითო მისი მტევანი ასს ოყას იწონიდა თურმე, ამ სოფელში საროდან, რომელიც გამოღმა, მტკვრის ხეობისავე, ქარაფის პირზედაა გაშენებული და გაღმა დადეშს პირდაპირ უყურებს, რამდენიმე ვერსის მანძილზედ, დაინახა თურმე ერთმა უცხო მისულმა სტუმარმა იქაურ ვენახში ვაზზე ჩამოკიდებული უშველებელი მტევანი, რომელიც კამეჩი ეგონა. რა დაარწმუნეს საროელებმა ყურძენიაო და იგი მაინც არ უჯერებდა. დაენაძლია ის ვინღას. დანაძლეულ სტუმარმა თვითონვე დაირბინა უძირო ხრინტე-ხევი, გავიდა მტკვარში, აირბინა დადეშში და რა ნახა რომ კამეჩის მაგიერ მართლა ყურძნის მტევანი გამოდგა, გაკვირვებულმა დააღო ხახა და ის წაგებული სანაძლეოც ბოლოკათაც არ ჩააგდო თურმე.

ჯვარი ვაზისა, 1906 წელი, N18

„ლექსო, არ დაიკარგები!“

ჩემი ერკოტა

ერკოტაში დავიბადე,
აქ ავიდგი ფეხი, ენა,
ჩემი ხატი, სამოთხეა, –
მაღლა ცაში აღმაფრენა.

დღისით მზეა, ღამით მთვარე,
თვალის ჩინი, გულის ცემა,
მენატრება მთები მწვანე,
ცხვარი ბალახს რომ ეცემა.

მენატრება შენი ნახვა,
ენძელები, იებია,
მიგატოვე, წამოვედი,
თავს ვერ მიპატიებია.

სოლიკო ტივაძე,
სოფელი ხეოთი, ახალციხის რაიონი, 91 წლის

ასპინძა

ადგილი, სადაც ვერა ვგრძნობ დაღლას,
ადგილი, სადაც წარსული მიცდის,
ბედნიერ წუთებს ვაგროვებ საგზლად, –
მთელი წლის სამყოფს ლუკმებად ვითვლი.

მე ის დღეები სიხარულს მომგვრის,
თუმცა წარსული მაინც მანაღვლებს,
მოხუცი პაპა, ჭიშკართან ისევ
ჩვენს მოლოდინში ათენ-აღამებს.

ჭაღარა ბებოც აღარ ფუსფუსებს,
ამ სახლ-კარს მათი აკლია სითბო,
მე თითქოს ყურში მათი ხმა მესმის,
მომიალერსებს და სულს გამითბობს.

ადგილი, სადაც მტკვარს ვესტუმრები
და ონავრობით ვიპარავ სიმინდს,
სადაც ცელქობით ზღვარგადასული
ყველა შეცდომა აღმიძრავს ღიმილს.

მერე ვხვდები, რომ გასულა წლები
და ხვილიშაში ავანთებ სანთელს,
ადგილი, სადაც ქვაც კია თბილი,
მას სულ სხვაგვარი აქვს სილამაზე.

ბავშვობის წლები

რა სპეტაკია ბავშვის თვალები,
ანგელოზივით უბიწო მზერა,
სუფთა გული და ფიქრი ალალი,
მხოლოდ ხალისი და აღმაფრენა.

სამყაროს ფერად ფერებში ხედავ
და ცისარტყელას ნვდები ხელებით,
ისეთ ოცნებებს გაიხდი წესად,
რომ ზღაპარივით გადიან წლები.

არ ეკარება თბილ გულს ბოროტი,
ვერც ორპირობა ვერ დააღონებს,
შური, მტრობა და უღვთო ღალატი
ბავშვის წმინდა გულს ვერ დაიმონებს.

ახლა მე ისევ ბავშვობას ვნატრობ,
გასულა წლები კრძალვით მარები,
ასე სამყაროს უამრავ ცოდვას
ისევ ბავშვობით დავემალები.

ნატალია წიძარიძე

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ ელექტრონული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.scri.co; fcoo: ლიტერატურული მესხეთი

დამფუძნებლები: ფიზიკური პირი **ავთანდილ ბერიძე**
სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გაზეთი რეგისტრირებულია ასპინძის რაიონის სასამართლოს მიერ 1998 წლის 15 ოქტომბერს. სარეგისტრაციო № 19/ 4-17

გაზეთის რედაქცია სარგებლობს თავისუფალი პრესის პრინციპებით და ავტორის მოსაზრებებსა და გამონათქვამებზე პასუხს არ აგებს

კომპიუტერული უზრუნველყოფა ირმა ჯიშკარიანის

რედაქტორი ავთანდილ ბერიძე
სარედაქციო საბჭო:
დურმიშხან ბერიძე, მერაბ ბერიძე, ვახტანგ ინაური, სოსო გიქოშვილი

გაზეთი დაიბეჭდა შ.პ.ს. "საარის" სტამბაში.
მისამართი: ქ. თბილისი, თევდორე მღვდლის 57.
ტელ: 2 94-14-32

რედაქციის მისამართი:
0500, დაბა ასპინძა, თამარის ქ. № 3,
ტელეფონები:
მთავარი რედაქტორის: 599 97 95 24,
lit.meskheti@gmail.com
lit–meskheti@yahoo.com